საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

წინასაარჩევნო პროცესების ანალიზი

2011 წლის 1 ოქტომბერი - 2012 წლის 1 აგვისტო

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

INTERNATIONAL FOUNDATION FOR ELECTORAL SYSTEMS
IFES
25 YEARS

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ--ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და ის შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES), USAID--ის და აშშ--ის მთავრობის შეხედულებებს.

ანგარიში მომზადდა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება, რადგანაც ქვეყანა შერეული მმართველობის სისტემაზე გადადის და საკანონმდებლო ორგანოს როლი საგრძნობლად იზრდება. გარდა ამისა, პოლიტიკურ ძალთა არსებული გადანაწილება იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ეს არჩევნები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტული იქნება. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო მარათონი ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე დაიწყო; კერძოდ, პოლიტიკური პროცესების განსაკუთრებული გააქტიურება 2011 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ გამოიწვია. ამდენად, მხოლოდ ორთვიანი ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი საარჩევნო პროცესებზე რეალურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნიდა. სწორედ ამიტომ ეს ანგარიში 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 აგვისტომდე მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესების ანალიზს მოიცავს. 1 აგვისტოს შემდეგ მომხდარი წინასაარჩევნო მოვლენების შეფასებებს კი მომდევნო კვლევაში წარმოგიდგენთ.

ეს ანგარიში ოთხი თავისგან შედგება. **პირველ** თავში სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენებაზე იქნება საუბარი, **მეორე** თავი პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის ფაქტებს მიმოიხილავს, **მესამე** თავი სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენებას შეეხება, ხოლო **მეოთხე** თავი ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევებს გააანალიზებს.

I. სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება

სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსები ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია პოლიტიკური ოპონენტების არათანაბარ პირობებში ჩასაყენებლად და მმართველი პარტიისთვის უპირატესი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ამგვარ რესურსებში სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება იგულისხმება. ასეთი ქმედებები შეიძლება იყოს კანონის იმგვარი ცვლილება, რომელიც მხოლოდ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფებს აზიანებს, კანონის არაერთგვაროვანი აღსრულება, არასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება და სხვა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს სამართლებრივი რესურსები პოლიტიკური მიზნით საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა. ასეთი ქმედებები სამ კატეგორიად დავაჯგუფეთ: 1. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები; 2. საგადასახადო და საადსრულებო კანონმდებლობების ცვლილებები; 3. კანონის აღსრულების პრობლემა – შერჩევითი სამართალწარმოება.

1. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები

2010 წლის ნოემბერში დაიწყო მუშაობა საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე[1]. ამ პროცესში საარჩევნო სისტემასთან, ადმინისტრაციულ რესურსებთან და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით რამდენიმე ინიციატივა გამოიკვეთა. 2011 წლის მიწურულს, ერთი მხრივ, ახალი საარჩევნო კოდექსი იქნა მიღებული, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლითაც ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის წესები. საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზისას აუცილებელია გამოიკვეთოს თავად საკანონმდებლო პროცესის მიმდინარეობა.

1.1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“

2011 წლის ივნისში მმართველმა პარტიამ და რამდენიმე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს[2]. თუმცა ამ ცვლილებების დიდი ნაწილი საარჩევნო გარემოში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას ვერ უზრუნველყოფდა[3].

მოგვიანებით გამოქვეყნებული ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმადაც, იყო ზოგიერთი პრობლემა, რომელთა მოგვარებას შემოთავაზებული კანონპროექტი ვერ ახერხებდა[4]. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მხრივ საქართველოს საარჩევნო კოდექსში ძირეული ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა უნდა გამოიყოს შემდეგი რეგულაციები:

- აიკრძალა სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება[5];
- შეიზღუდა იმ პირთა წრე, რომელთაც წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შეუძლიათ სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენება, თუმცა ასეთ შეთხვევაში ისინი საწვავის ხარჯს აღარ აანაზღაურებენ[6];

---

[1] http://www.civil.ge/geo/article.php?id=23324
[2] http://www.civil.ge/geo/article.php?id=24247
[3] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „მოსაზრებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლების მიერ წარდგენილ წინადადებებზე“: http://goo.gl/dNf2W
[4] http://www.venice.coe.int/docs/2011/CDL(2011)094-e.pdf
[5] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (27.12.2011. №5636-რს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032). 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
[6] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

- გაკეთდა დათქმა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან უწყებათაშორისი კომისიის შექმნაზე და განისაზღვრა მისი ფუნქციები[7];
- გაიზარდა პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრე; კერძოდ, მათ დაემატა სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი[8];
- შესაძლებელი გახდა წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული უკანონო ცვლილებებით გამოყოფილი ხარჯების სასამართლო წესით შეჩერება.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაცია მიუთითებდა ადმინისტრაციული რესურსების არასაკმარის რეგულირებაზე[9], ამ კუთხით ძირეული ცვლილებები არ განხორციელებულა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პოლიტიკური თანამდებობის პირთა წრე, რომელიც ძალიან ფართოა და ისეთ თანამდებობებსაც მოიცავს, რომლებზედაც პირები არ არიან პოლიტიკური ნიშნით არჩეული/დანიშნული (არაარჩევითი მერი, გამგებელი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, მინისტრის მოადგილე). მათთვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების მინიჭება მარეგულირებელი რესურსების არასათანადოდ გამოყენების მაგალითია.

1.2. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“

2011 წლის ივნისში მმართველ პარტიასა და რამდენიმე ოპოზიციურ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის მიღწეული შეთანხმება[10] ასევე მოიცავდა ცვლილებას „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში; კერძოდ, კანონით დადგენილი შემოწირულების ოდენობის ზედა ზღვარი უნდა გაორმაგებულიყო და უნდა გამხდარიყო 60 000 ლარი ფიზიკური პირებისათვის და 200 000 ლარი იურიდიული პირებისათვის. ეს ცვლილება ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიუღებლად მიიჩნიეს[11]. არსებული ზღვარი ისედაც საკმაოდ მაღალი იყო და ასეთი ცვლილება ვერ უზრუნველყოფდა უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას, ასევე ოპოზიციური პარტიებისთვის შემოწირულებების ზრდასა და დივერსიფიკაციას. მმართველი გუნდი აცხადებდა, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლებოდა, ვინაიდან პარტიებს შორის შეთანხმება იყო მიღწეული, და რომ ცვლილებების განხორციელება მხოლოდ მორიგი შეთანხმების გზით იქნებოდა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, 2011 წლის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წარადგინა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების პაკეტი[12], რომელიც ზოგ რამეში პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა შეთანხმებულ საკითხებს; კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებდა იურიდიული პირებისათვის შემოწირულების აკრძალვას, ასევე ფიზიკური პირებისათვის შემოწირულების განხორციელებაზე სხვადასხვა შეზღუდვის დაწესებას; გაჩნდა ისეთ პირთა ცნებები, რომლებზედაც გარკვეულ შემთხვევებში გავრცელდებოდა პარტიისათვის დადგენილი შეზღუდვები; შემოთავაზებული იყო პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური ანგარიშგების მარეგულირებელი ახალი ორგანო – საქართველოს კონტროლის პალატა (ამჟამად სახელმწიფო აუდიტის სამსახური).

მასმედია და პოლიტიკური სპექტრი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეცვლილ პროექტს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას უკავშირებდა[13], რასაც განსაკუთრებით ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ მანამდე იურიდიული პირებისათვის შემოწირულების ოდენობის ზედა ზღვარი ორმაგდებოდა და, მმართველი გუნდის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლებოდა. ასეთი განსხვავებული გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, იმიტომ იქნა მიღებული, რომ ბიძინა ივანიშვილს მისი კომპანიების მეშვეობით გაზრდილი ლიმიტების ფარგლებში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საშუალება არ მისცემოდა.

იურიდიული პირებისათვის შემოწირულების აკრძალვის გარდა, შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებდა ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ზღუდავდა პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას და საკუთრების უფლებას. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის მიუხედავად, ეს ცვლილებები მაინც მიიღეს. სწორედ ამიტომ რამდენიმე არასამთავრობო

[7] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. 48-ე მუხლის მე-3–მე-9 პუნქტები.
[8] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. მე-2 მუხლის „ხ“ ქვეპუნქტი.
[9] http://goo.gl/mGxuK; http://goo.gl/1NYUV; http://goo.gl/qaH8p
[10] http://www.civil.ge/geo/article.php?id=24247
[11] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „მოსაზრებები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლების მიერ წარდგენილ წინადადებებზე“: http://goo.gl/dNf2W
[12] http://www.tabula.ge/article-17210.html
[13] http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=8147

ორგანიზაციამ შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „ეს შენ გეხება“[14], რომლის ფარგლებშიც ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ლობირება ხდებოდა[15].

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით პარტიებისთვის დაწესებული შეზღუდვები შეიძლება შეხებოდა რიგით მოქალაქეს ან ორგანიზაციას, რომელიც გამოთქვამდა მოსაზრებას რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებით, გააკეთებდა განცხადებას პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ასეთი ქმედებით მას შეეზღუდებოდა შემოსავლის წყარო; პოლიტიკურად აქტიური პიროვნება შეიძლებოდა მარეგულირებელი ორგანოს სრულ ფინანსურ კონტროლს დაქვემდებარებოდა, მის მთელ ქონებას კი ყადაღის დადება ემუქრებოდა; კანონის დარღვევისათვის გაუმართლებლად მაღალი და არაპროპორციული სანქციები იყო დაწესებული. ასეთი განუსაზღვრელი და განუჭვრეტი რეგულაციები შეიძლებოდა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენებულიყო, რაც არაერთხელ მოხდა კიდეც, ეს კი წინასაარჩევნო გარემოს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.

კამპანიის „ეს შენ გეხება“ აქტიურობის, სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და საზოგადოების ძალისხმევით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა[16], რამაც საგრძნობლად გამოასწორა ვითარება. თუმცა ზოგიერთი საკითხი კვლავ საჭიროებს დახვეწას; კერძოდ:

1.2.1. პარტიების ფინანსური რეგულაციების დარღვევისათვის დაწესებული სანქციები

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ფინანსური რეგულაციების დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციები. ევროპის საბჭოს 2003 წლის რეკომენდაცია[17], რომელიც მოიცავს საერთო წესებს პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დროს კორუფციის აღმოსაფხვრელად, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ გადამწყვეტი, ეფექტიანი და პროპორციული სანქციები პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ან/და საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევისთვის. გრეკოს[18] მიერ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობათა ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითადად სანქციები არაპროპორციულია და ხშირად არც გამოიყენება[19].

სანქციების არსებობა და მათი ეფექტიანი გამოყენება აიძულებს პოლიტიკურ პარტიებს და თანამდებობის პირებს, უარი თქვან არაკანონიერ დაფინანსებაზე, რაც პოლიტიკურ პროცესს უფრო ანგარიშვალდებულს და გამჭვირვალეს ხდის. სახელმწიფო რეგულაციები, რომლებიც დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას ითვალისწინებს, ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან კანონის დარღვევისთვის შესატყვისი და პროპორციული სანქციით უზრუნველყოფის გარეშე ქმედითი ვერ იქნება. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რეგულირებისთვის საჭიროა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული და ეფექტიანი სანქციების გამოყენებას კანონის დარღვევისთანავე[20].

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პრაქტიკიდან და გრეკოს შეფასებებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს ისეთ სანქციებს, რომლებიც არაპროპორციული იქნება და პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვას გამოიწვევს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კი ფრთხილად უნდა მოეკიდოს მკაცრი სანქციების გამოყენებას, რადგან პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ამ გზით ბრძოლა შეიძლება მარეგულირებელი რესურსების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი საშუალება იყოს. ამდენად, სახელმწიფოს მიერ დაწესებული ზედმეტად მკაცრი რეგულაციები და უზარმაზარი ჯარიმები ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს სერიოზულ პრობლემას უქმნიდა და, როგორც გამოჩნდა, ზოგჯერ მათი საქმიანობის პარალიზებასაც კი ახდენდა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა 2012 წლის ივნისში, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრ პარტიებს დაახლოებით 2.86 მილიონი ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ[21].

---

[14] http://esshengexeba.ge/
[15] http://esshengexeba.ge/?menuid=25&lang=1
[16] http://esshengexeba.ge/?menuid=9&lang=1&id=259
[17] მიღებულია 2003 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 835-ე შეხვედრაზე.
[18] სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) 1999 წელს ევროპის საბჭომ დააფუძნა, რათა მონიტორინგი გაეწიოს წევრი სახელმწიფოების მიერ ანტიკორუფციული სტანდარტების შესრულებას. დღეისათვის გრეკო 49 წევრ სახელმწიფოს (ევროპის 48 ქვეყანა და ამერიკის შეერთებული შტატები) მოიცავს.
[19] „თემატური განხილვა გრეკოს მესამე სამონიტორინგო რაუნდისა“ – ივეს-მარიე დუბლე, საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის დირექტორის მოადგილე.
[20] „პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება – გაიდლაინები“ – ინგრიდ ვან ბიზენი, ბირმინგემის უნივერსიტეტი (გაერთიანებული სამეფო), ევროპის საბჭოს პუბლიკაცია (2003).
[21] http://www.civil.ge/geo/article.php?id=25629

პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების რეგულირების ფარგლებში დაწესებული სანქციების სიღრმისეულ ანალიზს ჩვენს შემდგომ ანგარიშებში შემოგთავაზებთ.

1.2.2. პარტიების შესახებ ინფორმაციის არასათანადო გავრცელება

2011 წლის მიწურულს მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია[22], რომლის თანახმადაც, კონსერვატიული პარტიისათვის, რესპუბლიკური პარტიისა და ხალხის პარტიისათვის 2011 წლის განმავლობაში შემოწირულებების განმახორციელებელი 11 იურიდიული პირიდან 9 ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა, ხოლო 2 – კახი კალაძის[23]. აღსანიშნავია, რომ ეს ინფორმაცია საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებულ მასალებს ეფუძნებოდა. როგორ მოხვდა ეს მასალები პროკურატურაში, უცნობია. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს შესაძლებლობას, პროკურორმა მოითხოვოს გარკვეული ინფორმაცია; კერძოდ, მას უფლება აქვს, მოითხოვოს „ზედამხედველობის ან საპროცესო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენა“[24].

აშკარაა, რომ კანონი ითვალისწინებს მიზანს, თუ რისთვის შეუძლია პროკურორს გამოითხოვოს გარკვეული ინფორმაცია ამა თუ იმ პირისაგან. თუმცა ზემოთ აღნიშნული მასალების გავრცელებისას არ თქმულა, თუ რაზე მიმდინარეობდა ზედამხედველობა ან საპროცესო ხელმძღვანელობა. მიუხედავად იმ დროისათვის განხორციელებული არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პარტიის უკანონო დაფინანსებისათვის ან ასეთი დაფინანსების მიღებისათვის, უცხოური კომპანიის ან სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ დაფინანსების გაცემისათვის/მიღებისათვის არ ითვალისწინებდა სასჯელს ან რაიმე სხვა დანაშაულს, რომელიც შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ჩადენილიყო. ამიტომ გაუგებარია, რატომ ჰქონდა პროკურატურას ეს მასალები და როგორ მოიპოვა ისინი.

პოლიტიკურ პროცესებში საგამოძიებო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ კანონის მიკერძოებული გამოყენება შეიძლება მარეგულირებელი რესურსების არასათანადო გამოყენების მაგალითი იყოს.

1.2.3. კანონის უკუძალა და მყისიერად დახარჯული თანხები

2011 წლის მიწურულის საარჩევნო პროცესზე საუბრისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თავად ამ პროცესის მიმდინარეობა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ინიციირებული ცვლილებების მესამე მოსმენის ვერსიაში შემოწირულების იურიდიული პირისაგან მიღების აკრძალვასთან ერთად, ცვლილებების ამოქმედებამდე (2011 წლის ბოლომდე) დაუხარჯავი თანხები შემომწირველებს უნდა დაბრუნებოდა ან სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადარიცხულიყო[25]; კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტში იყო ჩანაწერი, რომ „ამ კანონით“ (ანუ თავად ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონით) დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით მიღებული თანხები (მათ შორის, შემოწირულებები იურიდიული პირებისაგან), რომლებიც თავად ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ამოქმედებამდე დაუხარჯავი იყო, არა უგვიანეს სამი კალენდარული დღისა უნდა დაბრუნებოდა შემომწირველებს, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ამით კანონი უკუძალას იძენდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის ჩარევის შედეგად, კანონს უკუძალა არ მინიჭებია და სიტყვა „ამ“ მის გამოქვეყნებულ რედაქციაში აღარ ჩაწერილა.

---

[22] http://24saati.ge/index.php/category/news/2011-12-24/23624

[23] მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს“: http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011

[24] საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“ (21.10.2008. №382-IIს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №27, 27.10.2008, მუხ. 170). 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

[25] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების მე-3 მოსმენის ვერსია: http://transparency.ge/post/general-announcement/saarchevno-kanonmdeblobashi-shesuli-tsvlilebebis-parlamentshi-gankhilvis-d

მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების ამ ქმედებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. პოლიტიკური პარტიების 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების კვლევისას[26] გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რამდენიმე პოლიტიკურმა გაერთიანებამ საკმაოდ დიდი ხარჯი გასწია ძირითადი აქტივებისა და საწვავის შეძენაზე, ასევე ოფისის ქირაზე, რისთვისაც საანგარიშო წლის დასრულებამდე ჩამოწერა თანხები ანგარიშიდან, კერძოდ, მომსახურების/საქონლის მიღებამდე წინასწარ შეასრულა გადახდა (საკასო ხარჯი[27] გასწია). ეს კი, სავარაუდოდ, წინასწარ გადახდილი თანხებია – ზემოთ ხსენებული მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების მომენტისათვის ფინანსები დახარჯული უნდა ყოფილიყო.

საკანონმდებლო პროცესის იმ სახით გამოყენება, რომელიც პოლიტიკური ძალების საქმიანობაზე უარყოფითად აისახება და ოპონენტების ფინანსურ მდგომარეობაზე არაპროპორციულ გავლენას ახდენს, შეიძლება მარეგულირებელი რესურსების საარჩევნო და პოლიტიკური მიზნებით გამოყენების მაგალითი იყოს.

2. საგადასახადო და სააღსრულებო კანონმდებლობების ცვლილებები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნის მესამე კარის მეექვსე თავში წარმოდგენილია მოთხოვნის უზრუნველყოფის ორი სამოქალაქო სამართლებრივი საშუალება: გირავნობა და იპოთეკა. გირავნობა საშუალებას იძლევა, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ქონება ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (იპოთეკის შემთხვევაში – უძრავი ქონება) გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი იძენს უფლებას, სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების რეალიზაციით ან მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ქონებით კრედიტორი, რომელსაც ეს საშუალება პირველ რიგში აქვს გამოყენებული, თავის მოთხოვნას სხვა კრედიტორებამდე იკმაყოფილებს.

აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს კომერციული ბანკები აქტიურად იყენებენ, როგორც გაცემული სესხების უზრუნველყოფის საშუალებას, მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში. ქონების დაგირავება/იპოთეკით დატვირთვა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით ხდება. ამიტომ ბანკი, რომელიც სესხის გაცემას აპირებს, საჯარო რეესტრში ამოწმებს, ხომ არ არის გირავნობის/იპოთეკის საგანი უკვე დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული, და, თუ ქონება დატვირთული არ არის, როგორც წესი, ბანკი სესხს გასცემს და რეესტრში არეგისტრირებს მოვალის მიერ წარმოდგენილ ქონებაზე გირავნობას/იპოთეკას, იმის გათვალისწინებით, რომ სხვა კრედიტორთა მოთხოვნებთან მიმართებით ის უფლებას იძენს, დატვირთული ქონებიდან პირველ რიგში თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს. ამდენად, თუ სხვა პირები, მათ შორის, საგადასახადო ან სხვა სახელმწიფო ორგანოები, შემდგომ დაარეგისტრირებენ საგადასახადო გირავნობას/იპოთეკას იმავე ქონებაზე, ეს ბანკის მოთხოვნის უფლების შემდეგ მდგარი უფლება იქნება და მათი მოთხოვნა მხოლოდ მას შემდეგ დაკმაყოფილდება, რაც ბანკი თავის მოთხოვნას დაიკმაყოფილებს.

2011 წლის 28 ოქტომბერს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 82[3] მუხლსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებითაც შეიცვალა ზემოთ მოყვანილ მოთხოვნათა რიგითობა კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. ამ ცვლილებების თანახმად, თუ საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის საფუძვლები (მაგალითად, საგადასახადო დავალიანების წარმოშობა) კანონით გათვალისწინებული ფინანსური ინსტიტუტების (კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სხვათა) გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციამდე გაჩნდა, იმის მიუხედავად, რომ ამ ფინანსურ ინსტიტუტებს უკვე ჰქონდათ დარეგისტრირებული გირავნობა/იპოთეკა ქონებაზე, პირველ რიგში დაკმაყოფილდება საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაცია ყველაზე ბოლოს განხორციელდა.

აღნიშნულმა ცვლილებებმა უკუქცევითი ძალა შეიძინა და ისეთ გარიგებებზედაც გავრცელდა, რომლებიც კანონის მიღებამდე იყო დარეგისტრირებული რეესტრში. ამგვარი საკანონმდებლო რეგულირებით სერიოზული საფრთხე შეექმნა უზრუნველყოფილი სესხების სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას და

[26] მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს“: http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011

[27] „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ფინანსური ანგარიშის ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2012 წლის 23 იანვრის №10/37 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ფინანსური ანგარიშის ფორმების შევსების ინსტრუქციის“ მე-5 მუხლის თანახმად, საკასო ხარჯი არის რეალურად გადახდილი ფული. ამდენად, როდესაც პარტია წინასწარ იხდის თანხას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ბუღალტრულად აღიარებული ანუ დარიცხული (ფაქტობრივი) ხარჯი და მიღებულია თუ არა მომსახურება/საქონელი, ეს საკასო ხარჯია.

გაიზარდა საფინანსო ინსტიტუტების (ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების და სხვათა) რისკი, რომელთა მიერ გაცემული სესხები გარკვეული ქონებით იყო უზრუნველყოფილი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არაერთხელ გამოეხმაურა აღნიშნულ ცვლილებებს და წარმოადგინა თავისი ანალიზი იმის თაობაზე, თუ როგორ დააზარალებდა ისინი ფინანსურ ინსტიტუტებს და ნეგატიურად იმოქმედებდა ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე. თუმცა, როგორც გაირკვა, ამ ცვლილებებმა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ბანკი“ დააზარალა, საქართველოში მოქმედ დანარჩენ 18 კომერციულ ბანკს კი არ შეხებია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, გამოყენებულ იქნა თუ არა ახალი წესები რომელიმე ფინანსური ინსტიტუტის მიმართ. ინფორმაციის მოსაპოვებლად წერილობით მივმართეთ კომერციულ ბანკებს შემდეგი კითხვით: ყოფილა თუ არა ისეთი ფაქტები, როდესაც ბანკის მოვალეებს აღმოაჩნდათ ადრე წარმოშობილი საგადასახადო დავალიანება და ეს დავალიანება დაიფარა მოვალეთა იმ ქონებით, რომელიც ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფის საშუალება იყო.

ექვს გაგზავნილ წერილზე პასუხი მხოლოდ ორი ბანკისგან მივიღეთ. ესენია „ქართუ ბანკი“ და „პროკრედიტ ბანკი“. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „პროკრედიტ ბანკში“ ასეთი ფაქტი არ ყოფილა. მასმედიითაც არ გავრცელებულა ინფორმაცია სხვა ბანკებში ამგვარი შემთხვევის თაობაზე.

რაც შეეხება „ქართუ ბანკს“, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების ამოქმედების თარიღიდან (2011 წლის 28 ოქტომბერი) 2012 წლის 27 იანვრამდე ამ ბანკის 16 მოვალეს აღმოაჩნდა ისეთი საგადასახადო დავალიანება, რომელიც ქონების ბანკში დაგირავებამდე ან იპოთეკით დატვირთვამდე წარმოიშვა. შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი რედაქციის მიხედვით, დავალიანების დაკმაყოფილების რიგითობაში პირველი სახელმწიფო (საგადასახადო ორგანოები) აღმოჩნდა. აღსრულების მიზნით ამ მოვალეთა ქონება (სულ 49 ობიექტი) აუქციონის წესით გაიყიდა. აუქციონზე გასატანი ქონების საწყისი ფასი, კანონმდებლობის მიხედვით, ქონების შეფასების აქტში მითითებული საბაზრო ღირებულების 50%-ია. ამის მიუხედავად, ჩატარებული აუქციონების დროს, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ ხდებოდა ქონების კონკრეტული პირისთვის მიყიდვა, რის შედეგადაც ქონების დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ობიექტი აუქციონზე გაიყიდა, თუმცა მყიდველმა თანხა არ გადაიხადა და საბოლოოდ ამ ობიექტების მესაკუთრეც სახელმწიფო გახდა. „ქართუ ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათთვის „ჩამორთმეული“ ობიექტების ჯამური საბაზრო ღირებულება 112 883 000 ლარია, რამაც ბანკს სერიოზული ზიანი მიაყენა.

როგორც ჩანს, კანონის ახალი დებულებები საქართველოში მოქმედ მხოლოდ ერთ ბანკს – „ქართუ ბანკს“ – შეეხო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში მოხდა სახელმწიფოს საკანონმდებლო რესურსების მმართველი გუნდის პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ გამოყენება. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 30 მარტს ეს პრობლემური ცვლილებები გაუქმდა და 2011 წლის 28 ოქტომბრამდე არსებული საკანონმდებლო რეგულირება აღდგა.

3. კანონის აღსრულების პრობლემა – შერჩევითი სამართალწარმოება

გარდა იმისა, რომ პოლიტიკური ოპონენტების შესავიწროებლად საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები ხორციელდებოდა, კანონის აღსრულებისა და სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებების გადამეტების კუთხითაც სერიოზული პრობლემები იყო. ამ მხრივ გამოირჩეოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელმაც არაერთი სადავო და კანონთან შეუსაბამო გადაწყვეტილება მიიღო. აუდიტის სამსახურის დაუსაბუთებელ ქმედებებს თითქმის ყოველთვის ეთანხმებოდა სასამართლო. რამდენიმე შემთხვევაში აქტიურად იქნა გამოყენებული სხვა სახელწიფო ორგანოები, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკი.

3.1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შერჩევითი სამართალწარმოება

2011 წლის 28 დეკემბერს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებით შეიქმნა მარეგულირებელი ორგანო – საქართველოს კონტროლის პალატის (ამჟამად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის) პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახური. აღსანიშნავია, რომ მას კანონმდებლობით საკმაოდ ფართო უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში კანონის არაერთგვაროვანი და ფართო განმარტება ხდებოდა, რაც მარეგულირებელი რესურსების გამოყენების ნათელი მაგალითია.

3.1.1. არასაკმარისი საჯაროობა და კანონის განმარტების არაერთგვაროვნება

2012 წლის 20 თებერვალს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაავრცელა განცხადება[28], ერთი მხრივ, „ქართული ოცნების“ მიერ კანონდარღვევით მიღებული შემოწირულების და, მეორე მხრივ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოსავლებში ეჭვის შეტანის შესახებ.

აღნიშნული განცხადების თანახმად, ნუგზარ ხუციშვილმა კომპანია „ქართუ მშენებლისაგან“ მიღებული პრემია შემოწირულების სახით გადარიცხა პოლიტიკური გაერთიანების ანგარიშზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეს დარღვევად მიიჩნია და გამოაქვეყნა სრული სქემა, თუ როგორ მიიღო ნუგზარ ხუციშვილმა თანხა დამსაქმებლისგან, როგორი იყო მისი ანაზღაურება, ჰქონდა თუ არა ადრე მიღებული ასეთი პრემია და როგორ გადარიცხა ის პოლიტიკური სუბიექტის ანგარიშზე. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ინფორმაცია სრულად, დეტალიზებული სახით გამოაქვეყნა.

რაც შეეხება მმართველი პარტიის შემთხვევას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებულ შემოწირულებას, რომელიც, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, სავარაუდოდ, ასევე უკანონო გზით, ერთი პირის მიერ იყო განხორციელებული, იგივე რეაგირება არ მოჰყოლია. კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არც კი გაასაჯაროვა იმ პირთა შესახებ ინფორმაცია, რომელთაც ერთი პირის ორგანიზებით აქვთ შემოწირულებები განხორციელებული; არც თავად ორგანიზატორის თაობაზე ინფორმაცია გამხდარა საჯარო. მარეგულირებელმა ორგანომ მხოლოდ ის განაცხადა, რომ ეს ქმედებები კანონდარღვევა არ იყო შემოწირულების განხორციელების ეტაპზე, რეალურად კი, როგორც დღევანდელი, ისე შემოწირულების განხორციელების დროს მოქმედი კანონმდებლობა, კრძალავდა სხვის ნაცვლად შემოწირულების განხორციელებას და შესაბამის სანქციებს (ძველი კანონმდებლობით – სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა, ახლით – ბიუჯეტში გადარიცხვა და ათმაგი ოდენობით დაჯარიმება) აწესებდა. კანონით გათვალისწინებული სანქციების ასეთი არაერთგვაროვანი და შერჩევითი გამოყენება, ასევე წარმოების მასალების ცალმხრივად, მხოლოდ ერთ ფაქტთან მიმართებით გამოქვეყნება მიუღებელია. ეს მარეგულირებელი რესურსების აშკარად არასათანადო გამოყენების მაგალითია.

3.1.2. ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების არაერთგვაროვნება

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგისას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უპირველესი ფუნქცია გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. მაგალითად, პარტიები ვალდებული არიან დეკლარაცია წარუდგინონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, რომელიც 5 დღის ვადაში გაასაჯაროებს ამ ინფორმაციას საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებით. პარტიებს ასევე ევალებათ, შემოწირულების მიღებიდან 5 დღის ვადაში მის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ მარეგულირებელ ორგანოს, თუმცა კანონი მას ინფორმაციის გამოქვეყნებას პირდაპირ არ სთხოვს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იგივე ნორმა კანონპროექტის პირველად ვერსიაში (რომელიც პირველ მოსმენაზე გავიდა[29]) სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ინფორმაციის გასაჯაროებას ავალდებულებდა. ეს ფორმულირება მეორე მოსმენაზე უკვე აღარ არსებობდა. ინფორმაცია, რომელსაც პარტია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგენს, მორიგ წლიურ საფინანსო დეკლარაციაში აუცილებლად მოხვდება სრული სახით. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარტიების საფინანსო დეკლარაციებს, კანონის პირდაპირი მოთხოვნის მიუხედავად, სრულყოფილად მაინც არ აქვეყნებდა[30].

კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური არაერთგვაროვნად მოიქცა, პოლიტიკური პარტიების შემოსავლებსა და ხარჯებს უკავშირდება. ამ სამსახურმა ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების შემომწირველებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა, თუმცა მმართველი გუნდის დაფინანსების თაობაზე მონაცემების გასაჯაროებისათვის გაცილებით მეტი დრო დასჭირდა. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2012 წლის 15 მაისს განაცხადა[31], რომ მათ მიწოდებული

[28] http://control.ge/news/id/407

[29] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მოსმენის ვერსია: http://goo.gl/NPMKV

[30] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე განცხადება „კონტროლის პალატის მიერ დაფარული საჯარო ინფორმაცია“: http://goo.gl/K3V5w

[31] http://goo.gl/CQjGW

აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის, თუმცა ეს ინფორმაცია საჯარო მხოლოდ ივნისში[32] გახდა.

გარდა ამისა, 2011 წლის ფინანსური დეკლარაციების კვლევისას კიდევ ერთი ტენდენცია გამოიკვეთა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2012 წლის 9 თებერვალს გამოქვეყნებულ პოლიტიკური გაერთიანებების 2011 წლის ფინანსურ ანგარიშებში მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოვლინდა:

ა) ფინანსური დეკლარაციების მნიშვნელოვანი ნაწილის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე ატვირთვის ცუდი ხარისხის გამო შესაბამისი ინფორმაციის სრულად მიღება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო;

ბ) ფინანსურ დეკლარაციებში არ იკითხებოდა შემომწირველთა სახელები, გვარები, პირადი ნომრები და სხვა მონაცემები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, ეს ხარვეზი პარტიების მიერ ინფორმაციის მცირე ზომის შრიფტით მიწოდების ბრალი იყო;

გ) ფინანსურ დეკლარაციებში შემომწირველ ფიზიკურ პირთა მისამართები ახლაც დაფარულია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, ეს მონაცემები პარტიების თხოვნით დაიშტრიხა, ვინაიდან ადრე მათი მითითება სავალდებულო არ იყო.

იმ პერიოდისთვის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი შემომწირველ ფიზიკურ პირთა მისამართების და შემოწირულებებთან დაკავშირებული ყველა სხვა ინფორმაციის საჯაროობას ითვალისწინებდა[33], ხოლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის პასუხისმგებელი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იყო (ამჟამად ეს ვალდებულება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აკისრია). აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმართვაზე[34] რეაგირება მოახდინა და პოლიტიკური გაერთიანებების ანგარიშები თავიდან ატვირთა საკუთარ ვებგვერდზე, ისე, რომ მათი წაკითხვა შესაძლებელი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დეკლარაციის ბოლომდე წაკითხვა მაინც შეუძლებელია[35].

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პარტიების ფინანსური დეკლარაციებიც გამოითხოვა. მიღებულ ინფორმაციაში შემომწირველთა შესახებ მონაცემები დაშტრიხული არ არის, სამსახურის ვებგვერდზე კი ისინი კვლავ დაფარულია. ამასთანავე, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველთა მისამართები დეკლარაციაში საერთოდ არ არის მითითებული[36]. ამდენად, ან აღნიშნულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ დაარღვია კანონი, როდესაც შემომწირველის (თუნდაც უკანონოს) შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად არ ასახა, ან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არ შეასრულა ამ ინფორმაციის საჯაროობის კანონით დადგენილი მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ორგანომ 2012 წლის ივლისში შეიმუშავა პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგის მეთოდოლოგია[37], რომლის თანახმადაც, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსურ ანგარიშგებებს და სხვადასხვა ფინანსურ ინფორმაციას, თუმცა მეთოდოლოგიიდან მკაფიოდ არ ჩანს, რომ ეს სამსახური დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს ინფორმაციას პოლიტიკური გაერთიანებების ან საარჩევნო სუბიექტების ხარჯების შესახებ.

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა პოლიტიკური სუბიექტის ფინანსური აქტივობის გასაჯაროება. ამ კუთხით შერჩევითი მიდგომა და მხოლოდ ოპოზიციური პოლიტიკური ძალის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება მარეგულირებელი რესურსების არასათანადო გამოყენების მაგალითია.

---

[32] http://goo.gl/KbwkU

[33] საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ (31.10.1997. №1028-Iს; პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76). 27-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტები.

[34] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე განცხადება „კონტროლის პალატის მიერ დაფარული საჯარო ინფორმაცია“: http://goo.gl/K3V5w

[35] მაგალითად, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ შემომწირველთა და საწევრო შენატანების განმახორციელებელთა შესახებ ინფორმაცია ფაქტობრივად არ იკითხება.

[36] დეკლარაცია, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიაწოდა, წარდგენილია მას შემდეგ, რაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემოწირულება, როგორც უკანონო, სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა.

[37] http://sao.ge/res/files/pdf/17/document.pdf

3.1.3. სანქციის დაკისრებისას კანონის ფართო განმარტება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სანქციების გამოყენებისას კანონის განმარტებას არ უნდა გასცდეს და მხოლოდ მასში ჩადებული მიზნიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. აღსანიშნავია, რომ ამის საპირისპიროდ მოიქცა მარეგულირებელი ორგანო საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის“ სასარგებლოდ შემოწირულების განმახორციელებელი პირის – ბიძინა გიორგობიანის – მიმართ.

2012 წლის მაისის დასაწყისში მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია ფონდ „ქომაგის“ დაფუძნების თაობაზე. ფონდის შექმნასთან დაკავშირებით პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, გაჩნდა ეჭვი, რომ მას საარჩევნო მიზნები ჰქონდა[38]. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, 2012 წლის 10 მაისს ბიძინა გიორგობიანმა აღნიშნულ ფონდს 90 000 ევროს ოდენობის თანხა გადაურიცხა[39]. თავად ფონდის თაობაზე ინფორმაცია მასმედიაში 2012 წლის 14 მაისს გავრცელდა, ხოლო მისი საქმიანობით დაინტერესების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა2012 წლის 18 მაისს განაცხადა[40].

2012 წლის 22 მაისს ბიძინა გიორგობიანი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი, ვინაიდან მან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, „საქართველოში არალიცენზირებლი ბანკიდან, კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, 2012 წლის 10 მაისს 90.000 ევროს ოდენობით უკანონო შემოწირულობა განახორციელა“[41]. როგორც გამოჩნდა, ბიძინა გიორგობიანმა თანხა 10 მაისს გადმორიცხა, ხოლო ფონდ „ქომაგის“ შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პირველად 18 მაისს განაცხადა. ამ განცხადებით ეს ორგანიზაცია პოლიტიკურ პარტიასთან გათანაბრებულ პირად წარმოჩნდა. ამიტომ ბიძინა გიორგობიანს თანხის გადმორიცხვის დროს ვერ ეცოდინებოდა, რომ იგი შეიძლებოდა უკანონო შემოწირულების განმახორციელებელი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, მისი დაჯარიმება სამართლიანი არ იყო; „ქომაგის“ მიერ თანხის გიორგობიანისთვის დაბრუნება ყველაზე სწორი ქმედება იქნებოდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კანონის გამოყენებისას თავისი გავლენა უსაფუძვლოდ განავრცო, რითაც სამართალდარღვევად ცნო ფაქტი, რომელზედაც სამართალდარღვევის ჩადენის დროს კანონი არ მოქმედებდა. კანონის ასეთი არათანაზომიერად ფართო გამოყენება მარეგულირებელი რესურსების გამოყენების აშკარა მაგალითია.

3.1.4. მყისიერი რეაგირების პრობლემა – შერჩევითი მიდგომა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შერჩევითი სამართალწარმოება ამომრჩევლის მოსყიდვის შესაძლო ფაქტებზე არათანამიმდევრული რეაგირებითაც გამოიხატა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ფონდ „ქომაგის“ მიერ ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის თავიდან ასაცილებლად მყისიერი რეაგირება მოახდინა. ეს სახელმწიფო ორგანო ასევე ოპერატიულად გამოეხმაურა კიდევ ერთი, მსგავსი მიზნების მქონე საქველმოქმედო ფონდის, „ქართული ფეხბურთის ქომაგის“, შექმნას და მის ფინანსურ ანგარიშებსაც ყადაღა დაადო იმ მიზეზით, რომ ამ ანგარიშებზე სხვადასხვა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა გადარიცხა თანხები[42]. თუმცა, როგორც ფონდის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან[43] ჩანს, დასახელებული პერიოდისთვის მის საბანკო ანგარიშებზე თანხების მოძრაობა საერთოდ არ ყოფილა.

ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაცილებით ინერტულია ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ისეთ ფაქტებთან მიმართებით, რომლებშიც მმართველი პარტია და მისი წარმომადგენლები ფიგურირებენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 3 მაისს წერდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რუსთავის საკრებულოს წევრის, თამაზ გველუკაშვილის, მიერ მოსახლეობისთვის სააღდგომო საჩუქრების დარიგებაზე[44], თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამ ფაქტს მხოლოდ 3 კვირის შემდეგ გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საქმის გამოძიება დაიწყო[45]. საბოლოო ჯამში კი, მან ამ ქმედებაში

---

[38] იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „არასამთავრობოთა ერთობლივი განცხადება საქველმოქმედო ფონდი „ქომაგის“ შექმნაზე“: http://goo.gl/H3YkJ
[39] http://control.ge/news/id/491
[40] http://control.ge/news/id/479
[41] http://control.ge/news/id/491
[42] http://control.ge/news/id/494
[43] http://transparency.ge/sites/default/files/attachment/%5BUntitled%5D_04092012140934.pdf
[44] http://transparency.ge/blog/ცხვარი-და-20-ლიტრი-ღვინო-რუსთაველ-ამომრჩევლებს
[45] http://control.ge/news/id/481

საერთოდ ვერ დაინახა ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი და ის მხოლოდ პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულების განხორციელებად მიიჩნია. გარდა ამისა, თამაზ გველუკაშვილის ნაცვლად, სამართალდამრღვევად რუსთავის საკრებულოს სხვა წევრი – კახა ბარათაშვილი – დასახელდა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ამომრჩევლის მოსყიდვის აშკარა ფაქტის იგნორირება მოახდინა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს პროკურატურას საერთოდ არ მოუხდენიათ რეაგირება ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ბევრ სხვა ფაქტზე, კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ 2012 წლის 29 თებერვალს გახმაურებულ ფაქტებზე[46], რომლებიც პოლიტიკოსების მიერ საჩუქრების დარიგებას ეხებოდა.

3.1.5. ჯარიმა განუხორციელებელი შემოწირულებისთვის

სხვა პრობლემებთან ერთად, იყო შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა იურიდიული პირი იმ სამართალდარღვევისთვის დააჯარიმა, რომელიც მას არ ჩაუდენია; კერძოდ, 2012 წლის 12 მარტს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა კანონისთვის გვერდის ავლის მიზნით განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციის ფაქტზე „ქართუ ბანკი“ უკანონო შემოწირულების ათმაგი ოდენობით – 822 040 ლარით[47] – დააჯარიმა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადების თანახმად, „კორუფციული სქემის მიხედვით, სს „ქართუ ბანკმა“ თავის თანამშრომლებს ჩაურიცხა დიდი ოდენობით პრემია – 82 204 ლარი, ამ თანხის აიპ „საზოგადოებრივი მოძრაობა – „ქართული ოცნებისთვის“ შემდგომი გადარიცხვის მიზნით“. „თუმცა შემდგომ მათ [ამ თანამშრომლებმა] უარი განაცხადეს უკანონო გარიგებაში მონაწილეობის მიღებაზე“.

აღნიშნულმა თანამშრომლებმა 2012 წლის 5 მარტს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადეს, რომ დარიცხული პრემია ბანკს დაუბრუნეს და „ქართული ოცნებისთვის“ არ შეუწირავთ[48].

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, „შემოწირულების სხვა პირის მეშვეობით განხორციელება ან კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის სხვაგვარად გვერდის ავლა გამოიწვევს შემოწირულების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვას, ხოლო სამართალდამრღვევ პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა“.

ამდენად, „ქართუ ბანკისთვის“ პასუხისმგებლობის დასაკისრებლად კანონით აუცილებელი იყო მის მიერ შემოწირულების განხორციელება. სწორედ ამაზე მიუთითებს სიტყვები „გამოიწვევს შემოწირულების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვას“. თუმცა ამ შემთხვევაში შემოწირულება არ განხორციელებულა, რადგან თანამშრომლებმა „უარი განაცხადეს უკანონო გარიგებაში მონაწილეობის მიღებაზე“. ამდენად, „ქართუ ბანკის“ დაჯარიმება კანონს არ შეესაბამებოდა.

3.1.6. შერჩევითი მიდგომა საოფისე ფართობების დაქირავებასთან დაკავშირებით

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა პოლიტიკური პარტიების მიერ საოფისე ფართობების დაქირავებას უკავშირდება. 2012 წლის 14 მაისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შპს „მენეჯმენტ სერვისი“ პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ უკანონო შეწირულების განხორციელებისათვის სამართალდამრღვევად ცნო[49].

„მენეჯმენტ სერვისი“ ქირაობდა ოფისებს კერძო მესაკუთრეებისაგან, არემონტებდა პარტნიორი კომპანია „ბურჯის“ დახმარებით, უზრუნველყოფდა მათ ავეჯით და სხვა საჭირო საგნებით, შემდგომ კი ქვეიჯარით გასცემდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაზე, რომლებიც პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები იყვნენ.

---

[46] http://transparency.ge/blog/პოლიტიკური-საჩუქრები
[47] http://control.ge/news/id/426
[48] http://rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44816&pg=1&im=main&ct=1&wth=0; http://www.youtube.com/watch?v=jBVBaMFPMZk

[49] http://www.control.ge/news/id/522

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით, ორგანიზაციას ფართობების ქირაობა, რემონტი და ავეჯით უზრუნველყოფა უფრო ძვირი უჯდებოდა, ვიდრე პოლიტიკური პარტიებისაგან ქირის სახით მიღებული შემოსავალი იყო; შესაბამისად, მისი საქმიანობა არ ყოფილა მოგებაზე ორიენტირებული.

კომპანიის მიერ გაწეული ხარჯის გამოსათვლელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეაჯამა მის მიერ იჯარით აღებული ოფისების საერთო ფართობები და მიღებული ჯამი გაამრავლა 150 ლარზე, რაც, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სავარაუდო ხარჯია 1 კვ/მ ფართობზე სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად.

აღნიშნული კალკულაციის შედეგად მიღებული ოდენობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა „მენეჯმენტ სერვისის“ მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის განხორციელებულ შეწირულებად მიიჩნია და ეს კომპანია ათმაგი ოდენობით – 476 619 ლარით – დააჯარიმა.

„მენეჯმენტ სერვისი“ არ ეთანხმებოდა გადაწყვეტილებას და ამტკიცებდა, რომ ის კომერციულ საქმიანობას ეწეოდა და პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა მოგებაზე იყო გათვლილი. აღნიშნული საქმიანობით კომპანიას 11 თვის განმავლობაში 400 000 ლარის მოგება უნდა მიეღო.

„მენეჯმენტ სერვისი“ არ ეთანხმებოდა ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ გამოთვლებს და ამტკიცებდა, რომ მის მიერ გაწეული რეალური ხარჯი ბევრად ჩამოუვარდებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოანგარიშებულს, რამდენადაც ამ სახელმწიფო ორგანომ გარემონტებულად მიიჩნია დაქირავებული ოფისების მთლიანი ფართობი, მაშინ, როდესაც ფართობები მხოლოდ ნაწილობრივ გარემონტდა.

ამასთანავე, გაურკვეველია, რის საფუძველზე იქნა გამოანგარიშებული 150 ლარის ღირებულება 1 კვ/მ ფართობზე სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად, მაშინ, როდესაც არც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და არც ექსპერტს არ დაუთვალიერებიათ და არ შეუფასებიათ ოფისებში წარმოებული სამუშაოები.

2012 წლის 28 მაისს „მენეჯმენტ სერვისმა“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დადგენილება სასამართლოში გაასაჩივრა[50]. მოსამართლე გვრიტიშვილმა იმავე დღეს დაასრულა საქმის განხილვა და გამოიტანა გადაწყვეტილება. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე ჩქარობდა და მიზნად ჰქონდა დასახული პროცესის ერთ დღეში დასრულება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარემ არაერთხელ დააყენა პროცესის გადადების თაობაზე შუამდგომლობა, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ასეთი დაჩქარებული პროცესების გამო რთულია იმის თქმა, რამდენად საფუძვლიანი იყო „მენეჯმენტ სერვისის“ დაჯარიმება.

ამ შემთხვევისგან განსხვავებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ დაინტერესებულა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებთან დაკავშირებული საკითხებით, რომლებზედაც მასმედიაშიც იყო საუბარი. ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გორში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის სარემონტო სამუშაოები გორის ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეასრულა[51].

კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის თანახმად, გორში, სტალინის გამზირის №31-სა და №26-ში მდებარე სახელმწიფო შენობების სარემონტო სამუშაოებზე ჯამში 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი დაიხარჯა. აღნიშნული ოფისის შენობა ჭადრაკის სასახლე იყო, რომელიც დღეისათვის გაუქმებულია. მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ოფისი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გამგეობისაგან აქვს ნაქირავები. მსგავსი ფაქტის შესახებ ხარაგაულიდანაც გვაცნობეს, თუმცა მეტი ინფორმაცია ჯერჯერობით ვერ მოვიპოვეთ.

ის, რომ, „მენეჯმენტ სერვისის“ საქმისგან განსხვავებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამ შემთხვევებით არ დაინტერესებულა, კიდევ ერთხელ საეჭვოს ხდის მის მიუკერძოებლობას.

[50] ამ პროცესის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: http://transparency.ge/blog/ra-khdeboda-%E2%80%9Emenejment-servisis%E2%80%9D-sasamartlos-

[51] http://qartli.ge/web/5976

3.1.7. პოლიტიკური პარტიების ქმედებებით არათანაბარი დაინტერესება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური პარტიების აქტივობების მონიტორინგსაც არათანამიმდევრულად ახორციელებდა. 2012 წლის მარტში იგი ახსნა-განმარტებების ჩამოსართმევად მასობრივად იბარებდა კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებს და ამ ორგანიზაციასთან რაიმე შეხების მქონე პირებს. აღნიშნულ პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე ასეული ადამიანი დაიკითხა. როგორც ამ პროცესის მონიტორინგში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, აშკარა იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მრავალი პროცედურული დარღვევის ჩადენა, რითაც სერიოზულად შეილახა ადამიანის უფლებები[52].

ამის საპირისპიროდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ინტერესდებოდა მმართველი პარტიის ქმედებებით. თვეების განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სთხოვდნენ მმართველი პარტიის საქმიანობის მონიტორინგს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა დახურული შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, რაც არ შეესაბამებოდა პოლიტიკური პარტიების ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს[53]. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამ საკითხებით სერიოზულად არასოდეს დაინტერესებულა.

3.1.8. ქონების დაყადაღება კანონის შეუსაბამოდ

ერთ-ერთი საინტერესო თემა სატელიტური თეფშებისთვის ყადაღის დადებას უკავშირდება. 2012 წლის 21 ივნისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ყადაღა დაადო შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ ტელემაუწყებლობისთვის განკუთვნილ ტექნიკურ საშუალებებს[54].

სასამართლომ მიიჩნია, რომ „არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ ტელემაუწყებლობისთვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებები არის ქონება, რომელიც გამიზნულია დანაშაულის, კერძოდ კი ამომრჩეველთა მოსყიდვის ჩასადენად, რის გამოც ხსენებულ ტექნიკურ საშუალებებს უნდა დაედოს ყადაღა“.

2012 წლის 11 ივლისს ტელეკომპანია „მაესტროს“ კუთვნილ ტექნიკურ საშუალებებს დაედო ყადაღა. დასაბუთება ისეთივე იყო, როგორიც „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ შემთხვევაში.

ყადაღის დადების საფუძვლად სასამართლომ ორივე შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 151-ე მუხლი გამოიყენა, თუმცა არ მიუთითებია, კონკრეტულად რომელ ნაწილს ეყრდნობოდა. სააპელაციო სასამართლომ კი დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი იყო ყადაღის სამართლებრივი საფუძველი.

სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს კორუფციული ქონებაა. აქედან გამომდინარე, ყადაღადადებული ტექნიკური საშუალებების კორუფციულ ქონებად მიჩნევისათვის ისინი ან კორუფციული დანაშაულის ჩასადენად უნდა იყოს გამოყენებული, ან კორუფციული გზით უნდა იყოს მოპოვებული.

მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა კორუფციული დანაშაულია, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმა მაინც არ იძლევა ყადაღის დადების საფუძველს. თავად თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების ტექსტიდან ირკვევა, რომ ტელეკომპანია „მაესტროს“ და „გლობალ კონტაქტ

---

[52] http://goo.gl/SR3WW

[53] ვენეციის კომისია (European Commission for Democracy through Law – Venice Commission). პოლიტიკური პარტიების სფეროში საუკეთესო გამოცდილების კოდექსი. მიღებულია კომისიის მიერ 77-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2008 წლის 12-13 დეკემბერი). პარაგრაფი 19. ასევე ვენეციის კომისიის განმარტებით ბარათში, რომელიც მიღებულია 78-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2009 წლის 13-14 მარტი) აღნიშნულია, რომ პოლიტიკური გაერთიანებებისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს იდეების, ხედვებისა და გამოცდილების ამომრჩევლისათვის გაზიარება, რათა უკეთ აღიქვან და უპასუხონ ამომრჩევლის მოლოდინებს, რითაც წარმომადგენლობით მანდატს შეასრულებენ.

[54] http://news.ge/ge/news/story/19751-sasamartlom-global-tv-is-teqnikuri-sashualebebi-daayadagha

კონსალტინგის“ კუთვნილი ქონება ჯერ არ გამოყენებულა დანაშაულის ჩასადენად; არსებობს მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი ამისთვისაა გამიზნული.

დანაშაულის მომზადების ეტაპზე ან მისი პრევენციის მიზნით ქონებისთვის ყადაღის დადების შესაძლებლობას მხოლოდ სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა. თუმცა იგი მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე[55] და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 323-ე–330-ე და 331[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ვრცელდება. ამომრჩევლის მოსყიდვა (სსკ-ის 164[1] მუხლი) კი ნაკლებად მძიმე დანაშაულია.[56] ამიტომ აღნიშნული ნორმაც ვერ იქნებოდა ყადაღის დადების სამართლებრივი საფუძველი.

თუ კანონმდებელს სურდა ყადაღის გამოყენების შესაძლებლობა დაეშვა ისეთი მომავალი დანაშაულის მომზადების ეტაპზე ან მისი მომავალში ჩადენის აღსაკვეთად, როგორიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა, მაშინ სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც დანაშაულის მომზადებისას და მისი აღკვეთის უზრუნველსაყოფად ყადაღის გამოყენების საფუძველს ადგენს, სსკ-ის 323-ე–330-ე და 331[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებით და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებით არ შემოიფარგლებოდა და მასში იქნებოდა მინიშნება ამომრჩევლის მოსყიდვაზე. აქედან გამომდინარე, ყადაღის დადების ხსენებული ფაქტები კანონს არ შეესაბამებოდა. ისინი სამართლებრივი რესურსების პოლიტიკური მოტივით გამოყენების მაგალითებია.

3.2. სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების არამართლზომიერი ქმედებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სასამართლოს მიკერძოებული ქმედებების გარდა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტებსა და უფლებამოსილებებს პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის ზიანის მისაყენებლად იყენებდნენ.

3.2.1. „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანისთვის ყადაღის დადება და ეროვნული ბანკის აუდიტი

2011 წლის 18 ოქტომბერს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანა, რომელსაც ფული გადაჰქონდა. იმავე დღეს ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკავებული იყვნენ „ქართუ ბანკის“ თანამშრომლები, რომელთა შესახებაც არსებობდა ეჭვი, რომ ისინი დიდი ოდენობით თანხებს ათეთრებდნენ[57].

საბოლოოდ, „ქართუ ბანკის“ თანამშრომლები გაათავისუფლეს, ხოლო ფული ბანკს ორი თვის შემდეგ დაუბრუნდა. პროკურატურას არ გაუსაჯაროებია ინფორმაცია გამოძიების დეტალების შესახებ და არც იმის თაობაზე, თუ რამდენად დასაბუთებული იყო ეჭვი ფულის გათეთრებაზე.

დაკავების მომდევნო დღეს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააკეთა განცხადება „ქართუ ბანკში“ აუდიტის დაწყების თაობაზე და მიზეზად სწორედ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ბრალდებები მოიყვანა. აუდიტის ჩატარების პროცესი თავდაპირველად ორი თვით იყო დაგეგმილი, მაგრამ ეროვნული ბანკის სხვადასხვა განკარგულების საფუძველზე ცხრა თვემდე გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ არც პროკურატურას და არც ეროვნულ ბანკს დღემდე არ გაუვრცელებიათ ინფორმაცია გამოძიების ან აუდიტის შედეგად ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული რაიმე დარღვევის გამოვლენის თაობაზე. „ქართუ ბანკის“ განცხადებით, აუდიტორები ფულის გათეთრების საკითხებზე მოკვლევის ნაცვლად ბანკის ყოველდღიური ტრანზაქციების მონიტორინგს ახორციელებდნენ.

აღნიშნული ფაქტი მალევე მოხდა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში ჩართვის შესახებ განცხადება გააკეთა. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ასეთი ქმედებები შეიძლება სახელმწიფოს მარეგულირებელი რესურსების საარჩევნო და პოლიტიკური მიზნებით გამოყენება იყოს.

---

[55] განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არის ისეთი კატეგორიის დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ვადა ათ წელზე მეტია.

[56] ამომრჩევლის მოსყიდვისთვის სასჯელის მაქსიმალური ზომა სამი წელია, რაც ამ დანაშაულს ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას ანიჭებს.

[57] http://www.youtube.com/watch?v=fLPbIdeiCbk

3.2.2. „ქართუ ბანკის“ დროებითი მმართველობის კანონშეუსაბამო ქმედებები

2012 წლის 11 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლოდ უკანონო შემოწირულება განახორციელა, და იგი ჯამში 148 მილიონ 650 ათას 131 ლარით დააჯარიმა. სააპელაციო სასამართლომ ეს ჯარიმა გაანახევრა – 74 325 065 ლარამდე[58].

ივანიშვილმა ჯარიმების გადახდაზე უარი განაცხადა. ამიტომ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ დაიწყო წარმოება, რათა ყადაღა დაედო მისი აქციების 21.7%-ისთვის „პროგრეს ბანკში“ და „ქართუ ბანკის“ აქციების 100%-ისთვის.

„ქართუ ბანკში“ ეროვნულმა ბანკმა დროებითი მმართველი – ვლადიმერ უგულავა – დანიშნა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის გამო ბანკის დროებითი მმართველობა ორ კვირაში – 26 ივლისს – შეწყდა.

„ქართუ ბანკის“ განცხადებით, როდესაც ბანკის ყოფილმა მენეჯმენტმა კვლავ დაიბრუნა მართვა, აღმოჩნდა, რომ დროებითმა მმართველობამ 24 ივლისს ოთხ დეველოპერულ კომპანიასთან 50 მილიონი დოლარის საკრედიტო ხელშეკრულებები დადო. ამ ხელშეკრულებების თანახმად, აღნიშნული კრედიტები ბანკს ხუთ დღეში უნდა გაეცა.

ბანკის განცხადებით, კრედიტები რისკების მართვის და საკრედიტო დეპარტამენტების დასკვნების გარეშე დამტკიცდა, რაც კრედიტის გაცემის ზოგიერთი პროცედურის დარღვევაა. „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტის, ნოდარ ჯავახიშვილის, თქმით, აღნიშნული ხელშეკრულებები ბანკისთვის ერთმნიშვნელოვნად ზიანის მომტანი იყო, რადგან ბანკს ხსენებული კრედიტების გაცემის შესაძლებლობა ფიზიკურად არ ჰქონდა და, თუ ის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოახერხებდა სესხების გაცემას, ლიკვიდობის კოეფიციენტი დაირღვეოდა, რის გამოც შეიძლებოდა „ქართუ ბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია კვლავ შესულიყო.

ბანკის დროებითი მმართველი საქართველოს კანონმდებლობით ვალდებული იყო კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ გაძღოლოდა ბანკის საქმეებს. ეს კი ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს უფლებამოსილების საწარმოს კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ გამოყენებას, რაც სსკ-ის 220-ე მუხლით ისჯება. ამ შემთხვევაშიც ჩანს, რომ სახელმწიფომ საკუთარი ძალაუფლება მმართველი პარტიის კონკურენტის საზიანოდ გამოიყენა.

[58] http://transparency.ge/blog/ris-gamo-dajarimda-bidzina-ivanishvili

II. პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა

პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარღვევაა, რაც კი წინასაარჩევნოდ შეიძლება მოხდეს, რადგანაც ამგვარ დანაშაულთა უმრავლესობა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედების კატეგორიას მიეკუთვნება. პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის ფაქტები შემდეგ ქვეკატეგორიებად დავაჯგუფეთ: 1. სამსახურიდან გათავისუფლება; 2. დაშინება; 3. ფიზიკური ანგარიშსწორება; 4. დაკავება/დაპატიმრება; 5. პარტიის საქმიანობისთვის ხელის შეშლა; 6. ბიზნესზე ზეწოლა.

1. სამსახურიდან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების მრავალი ფაქტი გამოვლინდა. ამ მხრივ 2012 წელი გამორჩეული იყო, რადგანაც სხვა საარჩევნო წლებში ასეთი შემთხვევები გაცილებით ნაკლები იყო. ჩვენი მონაცემებით, 2011 წლის ნოემბრიდან 2012 წლის აგვისტომდე სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნის 45 ფაქტია გამოვლენილი.

სამსახურიდან გათავისუფლება რომ პოლიტიკური მოტივით ხდებოდა, რამდენიმე ფაქტორი გვაფიქრებინებს: ა) უმრავლეს შემთხვევაში გათავისუფლებას წინ უსწრებდა „დაზარალებული“ პირების პოლიტიკური (ოპოზიციური) აქტივობა; ბ) ბევრ შემთხვევაში სამსახურიდან დათხოვნილ პირებს წარსულში არ ჰქონდათ ჩადენილი სერიოზული სამსახურებრივი გადაცდომა და არ სარგებლობდნენ ცუდი რეპუტაციით, ასევე არ ჰქონიათ მიღებული რაიმე გაფრთხილება და საყვედური; გ) სამსახურიდან დათხოვნილ პირებს, როგორც წესი, არ უთითებდნენ გათავისუფლების მიზეზს.

ასეთი ფაქტები განსაკუთრებით ხშირი იყო სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. რამდენიმე შემთხვევა მოხდა სხვა საჯარო სტრუქტურებსა და კერძო სექტორში (იხილეთ **დიაგრამა 1.**).

დიაგრამა 1. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები (2012 წლის იანვარი-ივლისი)



1.1. საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით პედაგოგებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა თანამშრომლების გათავისუფლება ზეწოლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კატეგორია იყო.

ყველაზე გახმაურებული შემთხვევა 2012 წლის 11-13 თებერვალს **საჩხერეში** მოხდა, როდესაც საჩხერის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში ათამდე სკოლის პედაგოგი და დირექტორი გაათავისუფლეს. თუ

ვნახავთ, რა მოვლენები უსწრებდა წინ ამ პირთა გათავისუფლებას, პოლიტიკური ნიშნით დევნა აშკარად გამოიკვეთება. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნაზე ხელმომწერებს სამსახურიდან ათავისუფლებდნენ; კერძოდ:

ლევან ჯიქურიძე (სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის პედაგოგი) **–** ამ სკოლაში პედაგოგად 2011 წლის 15 სექტემბრიდან მუშაობდა. მასთან ხელშეკრულება 2012 წლის 15 სექტემბრამდე იყო დადებული. 2012 წლის 13 იანვარს იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს, რასაც უძღოდა სიტყვიერი გაფრთხილება, თავი დაენებებინა პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისთვის და სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდიდან აეღო საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ლოგო, რომელიც მან არ შეასრულა. გარდა ამისა, ჯიქურიძე იყო იმ მოთხოვნის ტექსტის ავტორი, რომლითაც ხელმომწერები ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას ითხოვდნენ. დირექტორის ბრძანებიდან[59] პედაგოგის გათავისუფლების მიზეზი არ ჩანს.

მთვარისა მელაძე (სოფელ სარეკის საჯარო სკოლის პედაგოგი) **–** ამ სკოლაში პედაგოგად 2011 წლის 15 სექტემბრიდან მუშაობდა. მასთან ხელშეკრულება 2012 წლის 1 სექტემბრამდე იყო დადებული. 2012 წლის 11 იანვარს იგი სკოლის დირექტორმა დაიბარა და სამსახურიდან გაათავისუფლა. დირექტორის ბრძანებაში[60] გათავისუფლების მიზეზი აღნიშნული არ არის. მელაძის თქმით, მას დირექტორმა უთხრა, რომ ზემდგომი ორგანოდან მითითების საფუძველზე მიიღო ეს გადაწყვეტილება. მთვარისა მელაძის განცხადებით, იგი სამსახურიდან იმიტომ გაათავისუფლეს, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა. 12 იანვარს სამსახურიდან დაითხოვეს მელაძის მეუღლე, **მურმან კაპანაძეც**, რომელიც საჩხერის კულტურის სახლში მუშაობდა.

ნონა შუკაკიძე (სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის პედაგოგი) **–** ამ სკოლაში პედაგოგად 2011 წლის 15 სექტემბრიდან მუშაობდა. მასთან ხელშეკრულება 2012 წლის 1 სექტემბრამდე იყო დადებული. 2012 წლის 12 იანვარს იგი სკოლის დირექტორის ბრძანებით სამსახურიდან გაათავისუფლეს. დირექტორის ბრძანებაში გათავისუფლების მიზეზი ამ შემთხვევაშიც არ იყო მითითებული. შუკაკიძის თქმით, მას განუცხადეს, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნაზე ხელის მოწერას და მის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირდებოდა. სავარაუდოდ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და აქტივობებისთვის გაათავისუფლეს სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის რამდენიმე სხვა პედაგოგიც, კერძოდ, **ნონა ტყემალაძე**, **ლევან ივანაშვილი** და **თემურ კაპანაძე**.

ელგუჯა ქავთარაძე (სოფელ სავანის სკოლის დირექტორი) **–** მისი თქმით, სამსახურიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ სკოლის თანამშრომლებისთვის გამოყოფილი დახმარების აღებაზე უარი არ თქვა. სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით დაითხოვეს სოფელ ორღულის საჯარო სკოლის დირექტორი, **გიორგი ჭიღლაძეც.**

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: პედაგოგებს სამსახურიდან უშვებდნენ სკოლის დირექტორის ბრძანებით, რომელშიც გათავისუფლების მიზეზი მითითებული არ იყო. რაც შეეხება სკოლის დირექტორებს, ისინი გენერალური ინსპექციის არაგეგმური შემოწმების დასკვნის საფუძველზე გაათავისუფლეს.

პედაგოგების სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების მორიგი ფაქტი 2012 წლის 7 მარტს სამტრედიის მე-3 სკოლაში მოხდა. ზოგიერთი პედაგოგი (**ნანა ივანაშვილი, ვენერა ივანაშვილი**) ბიძინა ივანიშვილის ახლო ნათესავია, ხოლო დანარჩენებს (**ლელა ხურცილავა, მარინა ნადირაძე**) მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. გათავისუფლებამდე მცირე ხნით ადრე სკოლაში ახალი დირექტორი დანიშნეს, რადგან გენერალურმა ინსპექციამ წინა დირექტორს რამდენიმე დარღვევა აღმოუჩინა; თუმცა თავად ამ დირექტორის განცხადებით, სამსახურიდან იმ მიზეზით გაუშვეს, რომ ზემოთ აღნიშნული პედაგოგების გათავისუფლებაზე უარი თქვა. გათავისუფლების შემდეგ პედაგოგებს არაოფიციალურად უთხრეს, რომ ბრძანება „ზემოდან მოდიოდა“.

პედაგოგის სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების კიდევ ერთი გახმაურებული შემთხვევა გორის №9 საჯარო სკოლაში მოხდა. 2012 წლის 20 იანვარს სკოლიდან დაითხოვეს **ია ბჟალავა**, რომლის მეუღლე, **თამაზ მაყაშვილი**, მოძრაობა „თავისუფალი დემოკრატების“ აქტიური წევრია. ბჟალავა სერტიფიცირებული პედაგოგია და საგანმანათლებლო სისტემაში 1990 წლიდან მუშაობდა. მის პირად საქმეში ერთი შენიშვნაც არ არის. ბჟალავას თქმით, მისი გათავისუფლების ცდები მას შემდეგ დაიწყო, რაც 2010 წლის არჩევნებში კოალიციის „ალიანსი საქართველოსათვის“ დამკვირვებელი იყო. იმავე მოძრაობაში

[59] http://transparency.ge/levan-jiquradzis-brdzaneba.pdf
[60] http://transparency.ge/sites/default/files/attachment/Mtavarisa_Meladze-Brdzaneba.pdf

ირიცხებოდა მისი მეუღლეც. როგორც თავად ბჟალავა აცხადებს, მან ხელი არ მოაწერა გაყალბებულ ოქმს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ მიცემული ხმები მმართველ პარტიას მიაწერეს. ამის შემდეგ მისი სამსახურიდან გათავისუფლება სკოლის მაშინდელ დირექტორს, მარინა მახარაშვილს, დაევალა. ბჟალავას განცხადებით, მახარაშვილმა იგი სამსახურიდან არ დაითხოვა; ამიტომ შეცვალეს სკოლის ხელმძღვანელი, რომელმაც ბრძანება აღასრულა, რათა მსგავსი პრობლემები საპარლამენტო არჩევნების დროსაც არ შექმნოდათ. სკოლის დირექტორის, **ელენე ხაჩიძის**, ბრძანებაში[61] ბჟალავას გათავისუფლების მიზეზი მითითებული არ არის. ია ბჟალავამ მისი სამსახურიდან გაშვება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ.

პედაგოგი სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს **დედოფლისწყაროშიც**. 2012 წლის 18 აპრილს სახელოვნებო სკოლიდან დაითხოვეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ღარიბაშვილის, სიმამრის და – **თამარ თამაზაშვილი**. თამაზაშვილის თქმით, იგი სკოლის დირექტორმა გააფრთხილა, რომ არ წასულიყო ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამსახურში პრობლემების შექმნით დაემუქრა. თამაზაშვილი შეხვედრაზე მაინც წავიდა, რის შემდეგაც მას სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს, ორ კვირაში კი, მიმდინარე რეორგანიზაციის საფუძველზე, სკოლიდან დაითხოვეს. აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაცია რატომღაც სასწავლო წლის დამთავრებამდე ორი თვით ადრე მოხდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს, რომ ეს შემთხვევა პოლიტიკურად იყო მოტივირებული.

სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის მწვრთნელს, **აკაკი ნატროშვილსაც**, რომელიც ამავე დროს „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ოფისის მენეჯერია. ნატროშვილის თქმით, მას ერთ-ერთი თანამდებობა უნდა დაეტოვებინა. ამის გამო მან წასვლის შესახებ განცხადება საკუთარი ინიციატივით დაწერა, რადგან არ უნდოდა, მის უფროსს პრობლემები შექმნოდა.

საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების გათავისუფლების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირი იყო 2012 წლის ზამთარში და გაზაფხულზე. ზაფხულიდან ასეთი ფაქტები საგრძნობლად შემცირდა, რაც ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ა) საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანების გათავისუფლების დიდმა მასშტაბებმა სხვა თანამშრომლებზეც მოახდინა ფსიქოლოგიური გავლენა; ბ) დადებითად იმოქმედა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 31 მაისის რეკომენდაციამ[62], რომლითაც ამ უწყებამ მოუწოდა საჯარო დაწესებულებებს, საშტატო რეორგანიზაციის მიზნით ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლებისაგან თავი შეეკავებინათ.

საგანმანათლებლო სფეროს მუშაკების სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტების არასრული ჩამონათვალი მოცემულია **ცხრილში 1.**

1.2. სხვა საჯარო სტრუქტურებში დასაქმებული პირები

საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით ადამიანების სამსახურიდან დათხოვნის ბევრი ფაქტი მოხდა სხვა საჯარო ინსტიტუტებშიც; კერძოდ:

2012 წლის 17 იანვარს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გაათავისუფლეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **რეზიკო ოთარაშვილი**. მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებაში[63] გათავისუფლების მიზეზი არ არის დასახელებული. როგორც გავარკვიეთ, ოთარაშვილს წარსულში არც ერთი შენიშვნა არ მიუღია. მისი თქმით, დუშეთის გამგებელმა ლაშა ჯანაშვილმა 11 იანვარს დაიბარა და უთხრა, რომ სამსახურიდან უშვებდა. მიზეზი ის იყო, რომ ოთარაშვილის ბებიამ – ნანული ნაცვლიშვილმა – „ქართულ ოცნებას“ საოფისე ფართობი მიაქირავა. ნაცვლიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ წევრები მართლაც იყვნენ მასთან მისულები, თუმცა ფასზე შეუთანხმებლობის გამო საბოლოოდ გარიგება არ შედგა.

[61] http://transparency.ge/sites/default/files/attachment/Ia_Bjalava-Gaprtkhileba.pdf

[62] www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6176
[63] http://transparency.ge/sites/default/files/attachment/Reziko_Otarashvili_Brdzaneba.pdf

2012 წლის მაისსა და ივნისში სავარაუდოდ პოლიტიკური მიზეზებით დაკარგეს სამსახური საქართველოს ძიუდოს ფედერაციის თანამშრომელმა **სოფო ცირეკიძემ** და თიანეთის პოლიციის უფროსის მოადგილემ **ზურაბ უძილაურმა**. ორივეს გათავისუფლება პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ 14 მაისს ოლიმპიური ჩემპიონის, **ზურაბ ზვიადაურის**, გაწევრებას უკავშირდება. ცირეკიძის თქმით, სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლად ზვიადაურთან სატელეფონო საუბრები დაუსახელეს. რაც შეეხება უძილაურის შემთხვევას, იგი ზურაბ ზვიადაურის ბავშვის ნათლიაა. მისი განცხადებით, სწორედ ამის გამო აიძულეს სამსახურიდან წამოსვლის შესახებ განცხადების დაწერა.

საჯარო მოხელეების სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დათხოვნის ფაქტების ჩამონათვალი მოცემულია **ცხრილში 2.**

1.3. კერძო სექტორში დასაქმებული პირები

პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება ხდებოდა არა მხოლოდ საჯარო სამსახურში, არამედ კერძო სექტორშიც. ამ შემთხვევებში პოლიტიკური მოტივების დადგენა უფრო რთულია, რადგანაც საქმე გვაქვს კერძო კომპანიებთან, რომლებზედაც სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის გავლენა ნაკლები უნდა იყოს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებთან ასოცირდება და, როგორც წესი, ბიზნესკომპანიები შემოწირულებებს მხოლოდ მმართველი პარტიის სასარგებლოდ გასცემენ[64], პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნის შესაძლო ფაქტებიც სარწმუნო გამოჩნდება. ამ კუთხით აღსანიშნავია შემდეგი შემთხვევები:

2012 წლის 1 აპრილს სამსახურიდან გაათავისუფლეს **ზურაბ თერგიაშვილი**, რომელიც გურჯაანში შპს „ჯეოჰოსპიტალის“ სასწრაფო დახმარების მძღოლი იყო. თერგიაშვილის თქმით, იგი მძღოლად შვიდ წელს მუშაობდა და არც ერთი შენიშვნა არ ჰქონია. გათავისუფლებამდე რამდენიმე კვირით ადრე თერგიაშვილმა კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ აქტიური თანამშრომლობა დაიწყო და სხვადასხვა სააგიტაციო მასალას არიგებდა, რისთვისაც დაკითხვაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურშიც იყო დაბარებული. მისი განცხადებით, რვა მძღოლიდან მხოლოდ ის გაათავისუფლეს სამსახურიდან. სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, ეს გადაწყვეტილება „ჯეოჰოსპიტალის“ ცენტრალურმა ოფისმა მიიღო.

სავარაუდოდ 2012 წლის 27 მაისის „ქართული ოცნების“ აქციაზე დასწრებისა და სოციალურ ქსელებში „აქტიურობის“ გამო დაითხოვეს სამსახურიდან კომპანია „ქლინ ლაინის“ დირექტორის მოადგილე **ლაშა გოგია**. გოგიას თქმით, მას არ განუმარტეს სამსახურიდან გაშვების მიზეზი, თუმცა ეს ფაქტი საეჭვოდ ემთხვევა მის აქციაზე მისვლას და სოციალურ ქსელ facebook-ზე „პოლიტიკურად“ გააქტიურებას.

კერძო სექტორიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტების ჩამონათვალი მოცემულია **ცხრილში 3.**

2. დაშინება

საანგარიშო პერიოდში სავარაუდოდ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანების დაშინების მრავალი ფაქტი გამოვლინდა. ხდებოდა, კერძოდ, მუქარა და ე. წ. „მეგობრული“ რჩევების მიცემა, რომ ამ ადამიანებს შეეწყვიტათ პოლიტიკური საქმიანობა. სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევების მსგავსად, ამგვარ ქმედებებსაც, როგორც წესი, წინ უსწრებდა „დაზარალებულების“ მიერ განსხვავებული პოლიტიკური აზრის გამოხატვა ან მმართველი პარტიისთვის არასასურველი ქმედების განხორციელება. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევებშიც პოლიტიკური მოტივი არსებობს.

2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 1 აგვისტომდე სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების მიმართ მუქარის 12 ფაქტი გამოვლინდა. აღსანიშნავია შემდეგი შემთხვევები:

2012 წლის 5 აპრილს ახმეტაში კოალიცია „ქართული ოცნების“ საინფორმაციო გაზეთის კითხვისა და დარიგების გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დაემუქრნენ ადგილობრივ მცხოვრებს, **გულჩინა წიქორიძეს**. წიქორიძის თქმით, ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბუღალტერი, ნიკო რუსიშვილი, მასთან მივიდა და უთხრა, რომ გაზეთს თავზე გადაახევდა, ასევე უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა ბიძინა ივანიშვილსა და გაზეთების მომწოდებლებს. მას შემდეგ, რაც წიქორიძემ აღნიშნული ფაქტის თაობაზე

[64] მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს“: http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011

„კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ ინტერვიუ მისცა[65], მასზე კიდევ განხორციელდა ზეწოლა. წიქორიძის განცხადებით, 8 აპრილს ქუჩაში მოდიოდა, როდესაც სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ ახმეტის სერვისცენტრის მენეჯერმა ვაჟა მარუქაშვილმა მისთვის მანქანის დაჯახება სცადა, 17 აპრილს კი დაუდგენელმა პირებმა წიქორიძეს თავშესაფარი დაურბიეს.

2012 წლის აპრილში ახმეტაში პოლიტიკური მოტივით დაშინების კიდევ რამდენიმე შემთხვევა მოხდა. მას შემდეგ, რაც 5 აპრილს „კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“ მოსახლეობაში ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის შესახებ გამოკითხვა ჩაატარა[66], რამდენიმე რესპონდენტი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააშინეს და გაჩუმება მოსთხოვეს. მუქარის ფაქტი ზოგიერთმა რესპონდენტმა დაადასტურა, მათ შორის, **გივი დავითაშვილმა**.

საანგარიშო პერიოდში კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტების მიმართ მუქარის განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა მოხდა. მათგან აღსანიშნავია შემდეგი:

2012 წლის 19 ივნისს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ორჯონიკიძეში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერს, **ბესიკ კუჭუხიძეს**, ღამის საათებში სახლში შეუცვივდა სამი ნიღბიანი პირი, რომლებმაც კოალიციის დატოვება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პრობლემების შექმნით დაემუქრნენ.

2012 წლის 4 ივნისს თბილისში „ქართული ოცნების“ წევრი, საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში – **ამბაკო ავალიანი**, დაუდგენელმა პირებმა მოტყუებით მანქანაში ჩასვეს. ავალიანის თქმით, იგი მიიყვანეს ერთ-ერთ ოფისში, სადაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** და საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი **გია უდესიანი** დაემუქრნენ. მათ ავალიანს კოალიციის დატოვება მოსთხოვეს. ეს ფაქტი იმით არის საინტერესო, რომ გია უდესიანს ზეწოლაში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი კიდევ ერთი ძიუდოსტი – **ბეთქვილ შუკვანი** – ადანაშაულებს.

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაშინების სხვა შემთხვევები მოცემულია **ცხრილში 4.**

3. ფიზიკური ანგარიშსწორება

განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობის გამო ადამიანებს არა მხოლოდ ემუქრებოდნენ, არამედ ხშირად ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. საანგარიშო პერიოდში 5 ასეთი ფაქტი გამოვლინდა.

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა 2012 წლის 14 იანვარს საჩხერეში მოხდა. საახალწლო კონცერტზე ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის ღიად გამოხატვისა და სკანდირების გამო 15-მდე ადამიანს სავარაუდოდ ქუთაისის ძალოვანი უწყების თანამშრომლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. დაზარალებულების უმრავლესობა შიშის გამო ღია კომენტარს ვერ აკეთებდა, თუმცა ცემის ფაქტი **ავთო მაჭარაშვილმა** და **ზვიად ბრეგვაძემ**[67] დაადასტურეს. მაჭარაშვილისა და სხვა პირების თქმით, ისინი ძალის გამოყენებით წაიყვანეს ისეთ ადგილებში, სადაც ხალხი არ მოძრაობდა, და აიძულებდნენ, ბიძინა ივანიშვილისთვის შეეგინებინათ, ამავე დროს, სასტიკად სცემდნენ.

2012 წლის 27 ივნისს გორში კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი **იოსებ ელყანაშვილი** პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ხუთმა პირმა სახლიდან გამოიყვანა, მდინარის პირას ჩაიყვანა და სცემა. მას კოალიციის დატოვებას სთხოვდნენ და ცემის ფაქტის გახმაურების შემთხვევაში დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც „ქართული ოცნება“ ალტერნატიულ „კარდაკარის“ კამპანიას ახორციელებდა.

ფიზიკური ანგარიშსწორების სხვა შემთხვევები მოცემულია **ცხრილში 5.**

4. დაკავება/დაპატიმრება

დაშინებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების გარდა, საანგარიშო პერიოდში ხშირად ხდებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრების, მხარდამჭერების და მათი ახლობლების დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტები.

[65] http://ick.ge/ka/rubrics/society/10451----------video.html
[66] http://youtube.com/watch?v=Weejnko4Fwc&feature=player_embedded#!
[67] http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=NNvBxKW3YI8#!

2012 წლის 19 აპრილს თბილისში კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა გაურკვეველი მიზეზით დააკავეს **ლაშა გოგორელიანი**, რომელიც მსახიობ ლევან გოგორელიანის ძმაა. ძმის დაკავებამდე ორი კვირით ადრე ლევან გოგორელიანმა რამდენიმე მეგობართან ერთად დატოვა ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და სამუშაოდ ბერა ივანიშვილის სტუდიაში გადავიდა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ მისი ძმის დაკავებას პოლიტიკური სარჩული ჰქონდა.

2012 წლის 25 მარტს[68] დააკავეს **სერგო ჩაჩიბაია**, „თავისუფალი დემოკრატების“ ზუგდიდის ორგანიზაციის წევრი. მას ავტოსერვისში ყოფნისას ახალგაზრდა ბიჭი მიუახლოვდა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და საცემად გაიწია. იმავე წუთს პოლიციის ავტომანქანა გამოჩნდა, რომლითაც ჩაჩიბაია პოლიციის ზუგდიდის სამმართველოში გადაიყვანეს. წაყენებული ბრალდების თანახმად, ჩაჩიბაიამ პოლიციის მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ წინააღმდეგობა გასწია და ცივი იარაღით დააზიანა მანქანა (თანამშრომელთაგან არავინ დაშავებულა). ოჯახის წევრების თქმით, ჩაჩიბაია ადრეც ყოფილა ნასამართლევი, რასაც ისინი მის პოლიტიკურ აქტივობას უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ ჩაჩიბაია მრავალი წლის განმავლობაში შსს-ის მაღალჩინოსანი იყო, რაც, ოჯახის წევრებისა და ახლობლების განცხადებით, გამორიცხავს მის მიერ პოლიციის მანქანაში ცივი იარაღის გამოყენებას. ასევე აღსანიშნავია, რომ დაკავებამდე სერგო ჩაჩიბაიამ გაავრცელა განცხადება, რომ მისი დაპატიმრება იგეგმებოდა[69].

2012 წლის 27 მარტს ზუგდიდში წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს პარტია „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, **კახა მიქაია**, რომელიც „თავისუფალი დემოკრატების“ ზუგდიდის ორგანიზაციის წევრის – სერგო ჩაჩიბაიას – დაპატიმრებას აპროტესტებდა. გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ მიქაია სხვა პირებთან ერთად სასამართლოს წინ სიტყვით გამოდის, როდესაც მას პოლიცია აკავებს. ვიდეოჩანაწერით ხულიგნობის ფაქტი არ დასტურდება; ამიტომ მიქაიას დაპატიმრების მიზეზი გაუგებარია.

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავებისა და დაპატიმრების სხვა ფაქტები მოცემულია **ცხრილში 6.**

5. პარტიის საქმიანობისთვის ხელის შეშლა

სიტყვიერი და ფიზიკური ზეწოლის გამოყენებით პოლიტიკური პარტიებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრებსა და სხვა საქმიანობაში ხელის შეშლა ასევე ერთ-ერთი გავრცელებული დარღვევა იყო. ამ საგანგაშო ტენდენციის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ადრეც წერდა[70].

განსაკუთრებით ხშირი იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან შეხვედრებისას პრობლემების წარმოქმნის ფაქტები. უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ, პროვოკაციებისა და ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩაეშალათ კოალიციის შეხვედრები, რასაც უმეტესად ფიზიკური დაპირისპირებაც მოსდევდა. ამ მხრივ გამორჩეული იყო 2012 წლის ივნისი და ივლისი. სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია 12 ივლისს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში მომხდარი დაპირისპირების დროს, როდესაც ათზე მეტი დაშავებული, რომელთა შორის მასმედიის წარმომადგენლებიც იყვნენ, საავადმყოფოში აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი ავალდებულებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, უზრუნველყონ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიის უსაფრთხოება, უმრავლეს შემთხვევაში კონფლიქტს თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლები იწვევდნენ.

ივნისსა და ივლისში მომხდარი ასეთი შემთხვევები და მათი მონაწილე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია **ცხრილში 7.**

6. ბიზნესზე ზეწოლა

პოლიტიკური ნიშნით პარტიების წევრებსა და მხარდამჭერებზე ზეწოლა მათი ბიზნესის შევიწროების ხარჯზედაც ხდებოდა. პოლიტიკური მოტივით ბიზნესზე ზეწოლის ყველაზე გახმაურებული შემთხვევების

[68] http://www.tspress.ge/ka/site/articles/11412/„თავისუფალი-დემოკრატების“-წევრი-პოლიციის-სამმართველოში-ყავთ.htm
[69] http://www.iveroni.com.ge/politika/5447-sergo-chachibaiam-dakavebamde-ramdenime-thvith-adre-specialuri-videomimarthva-chatsera.html?lang=ka-GE
[70] http://transparency.ge/blog/rogor-ereva-adgilobrivi-khelisupleba-partiebis-kampaniashi

(„ქართუ ბანკი“, „მენეჯმენტ სერვისი“, „მაესტრო“) შესახებ პირველ თავში იყო მოთხრობილი. სხვა ფაქტებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

2012 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის ძმის საკაბელო კომპანიამ – „გლობალ ტვ“-მ – საკუთარ პაკეტში „მე-9 არხი“ ჩართო, ხუთმა ტელეკომპანიამ („რუსთავი 2“, „იმედი“, „საქართველო“, „მზე“, „ახალი არხი“) ამ პაკეტიდან საკუთარი თავის ამოღება მოითხოვა. თუ „გლობალ ტვ“-ზე ბევრი აბონენტი იტყოდა უარს, საკაბელო კომპანიას შეიძლებოდა სერიოზულად ეზარალა. აღნიშნული ტელეკომპანიების გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, პოლიტიკურად იყო მოტივირებული და „გლობალ ტვ“-ის გაკოტრებას ისახავდა მიზნად. სხვაგვარად გაუგებარია, რატომ მოუნდა ერთდროულად ხუთ ტელეარხს საკუთარი მაუწყებლობის არეალის შემცირება. ასეთი ქმედება ბიზნესისთვის აშკარად წაგებიანია, რადგანაც ნებისმიერი ტელეკომპანიის მიზანია, რაც შეიძლება დიდი აუდიტორია მოიცვას. ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ, საზოგადოებისთვის ცნობილი ინფორმაციის[71] თანახმად, აღნიშნული ტელეარხების მფლობელები ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები არიან.

2012 წლის თებერვალში რუსთავში ავტორიზაცია მხოლოდ ერთმა სკოლამ (კერძო სკოლა „მილენიუმი“) ვერ გაიარა. ის ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილის სამშენებლო კომპანიის – „ატუს“ – დირექტორის მეუღლეს, **ელზა ლეკვეიშვილს**, რომლის თქმითაც, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ავტორიზაციის პრობლემა რუსთავის 11 სკოლას შეექმნა, თუმცა საბოლოოდ ავტორიზაცია მხოლოდ „მილენიუმმა“ ვერ გაიარა.

2012 წლის მარტში თბილისში **მედეა გველესიანს** ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა მოსთხოვეს, პარტია „თავისუფალი დემოკრატებისთვის“ საოფისედ ფართობის მიქირავების თაობაზე ხელშეკრულება აღარ გაეგრძელებინა. გველესიანთან მივიდა უბნის ინსპექტორი თემურ ფიფია, რომელმაც იგი რაიონის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელობასთან მიიყვანა. განყოფილებაში გველესიანს კონტრაქტის შეწყვეტა მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი სამსახურით უზრუნველყოფას შეჰპირდნენ.

პოლიტიკური ნიშნით ბიზნესზე ზეწოლის სხვა ფაქტები მოცემულია **ცხრილში 8**.

[71] მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე კვლევა „საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის და დამოუკიდებლობის ნაკლებობას განიცდის“: http://transparency.ge/advertising

III. სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების პოლიტიკური და საარჩევნო მიზნებით გამოყენება

სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების პოლიტიკური მიზნით გამოყენება წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების კიდევ ერთი სახეა. იგი პარტიული ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენებას გულისხმობს.

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური მიზნით სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსების გამოყენება საკმაოდ ხშირად ხდებოდა. ასეთი ქმედებები შემდეგ კატეგორიებად დავაჯგუფეთ: 1. საჯარო მოხელეების პარტიული დავალებები; 2. არჩევნებში ხმის მიცემის ფარულობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები; 3. სოციალური რეკლამები მმართველი პარტიის სამსახურში.

1. საჯარო მოხელეების პარტიული დავალებები

კანონმდებლობა საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნოდ განსაკუთრებულ რეჟიმს უწესებს. ამ კუთხით ძირითადი მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტია საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, რომლის 48-ე მუხლი კრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, ხოლო 49-ე მუხლი – საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, რაც მოიცავს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას და სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ კამპანიაში. მიუხედავად ამისა, არსებობს ერთი პრობლემა: საქართველოს საარჩევნო კოდექსის აღნიშნული რეგულაციები მხოლოდ არჩევნების დანიშვნის დღიდან მოქმედებს, ანუ ისინი 2012 წლის 1 აგვისტოს ამოქმედდა.

თუმცა დროით შეზღუდვებს არ ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 61-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო მოსამსახურეს არ აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის“. ამასთანავე, ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი ქვეყანას მოუწოდებს, რომ პარტია არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოსთან და რომ ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოს და პოლიტიკური პარტიის მკაფიო გამიჯვნა[72].

საჯარო მოხელეები ზემოთ აღნიშნულ რეგულაციებს საკმაოდ ხშირად არღვევდნენ.

1.1. მმართველი პარტიის მხარდამჭერთა სიების შეგროვება

2012 წლის 24 მაისს ტელეკომპანია „მე-9 არხზე“ გავიდა სიუჟეტი[73], რომელშიც ჩანდა, როგორ ავალებდა ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი **ილია ვაშაყმაძე** თანამშრომლებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა სიების შედგენას[74].

ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერში ვაშაყმაძე მიმართავს თანამშრომლებს: „მიდიხართ თქვენთვის ყველაზე სანდო ადამიანთან, პირველ რიგში, ოჯახის წევრებთან, ყველაზე სანდო მეგობართან, ნათესავთან, ნათლულთან. რა ვიცი, ვინც გინდათ. არაა აუცილებელი, დავუშვათ 20 და 50 კაცი. მაქსიმუმ 10 კაცის ჩაწერა, მინიმუმ, რამდენიც შეგიძლიათ“. ვაშაყმაძე ასევე აფრთხილებს თანამშრომლებს, რომ შეხვედრა ძალიან კონფიდენციალურია და მისი ოფიციალური მიზანი არის ვითომ „დისკუსია, თუნდაც ქალაქში მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით“.

მოყვანილ შემთხვევაში არა მხოლოდ დარღვეულია ზემოთ აღნიშნული ნორმები, არამედ ასევე იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები; კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით ისჯება მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც გულისხმობს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას საჯარო ინტერესის

[72] http://www.osce.org/odihr/elections/14304
[73] http://www.youtube.com/watch?v=fnaF-a-fnts&feature=share
[74] ფარული აუდიოჩანაწერის სრული ვერსია იხილეთ აქ: http://goo.gl/p0B7o

საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად. მოცემულ შემთხვევაში ოზურგეთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მისდამი დაქვემდებარებულ პირებს პარტიისათვის ხმების მოპოვებას სთხოვდა, რასაც გამგებლის უფლებამოსილების ფარგლებში, დაქვემდებარებულ პირთა ნების საწინააღმდეგოდ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების გადამეტებით ახორციელებდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მიმართა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებულ უწყებათაშორის კომისიას, რომლის განცხადებითაც, ამ დროს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში იმყოფებოდა და არ ასრულებდა სამსახურებრივ ფუნქციებს, თუმცა, ვაშაყმაძის საუბრიდან (ის საუბრობს შეხვედრის კონფიდენციალურობაზე, მითითებას აძლევს პირებს, რომ ოფიციალურად განაცხადონ, თითქოს ისინი მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს განიხილავდნენ) ჩანს, რომ ის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეწევა პარტიულ აგიტაციას.

მსგავს და, შესაბამისად, იმავე ნორმების დარღვევებს ეხება სხვადასხვა სამინისტროს და საჯარო დაწესებულების (ფინანსთა სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქ. რუსთავის შემოსავლების სამსახური) რამდენიმე თანამშრომლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ხელმძღვანელი პირები მათ მმართველი პარტიის მხარდამჭერთა სიების შედგენას ავალდებულებდნენ, ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი პრობლემების შექმნით ემუქრებოდნენ. ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვითხრა, რომ სამინისტროს შესაბამის სამსახურში ჩატარდა თათბირი, რომელზედაც იგი უშუალო უფროსმა დაიბარა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხუთი მხარდამჭერის სიის მიტანა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პრობლემების შექმნით დაემუქრა. აღნიშნული პირის ცნობით, მსგავსი შემთხვევები მთელი სამინისტროს და საქვეუწყებო დაწესებულებების მასშტაბით ხდებოდა, რაც კიდევ ერთმა წყარომ დაგვიდასტურა. სიის მიტანის შემდეგ საჯარო მოხელეებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ურეკავდნენ და პარტიის ოფისებში იბარებდნენ. საჯარო მოხელეებს ასევე შეატყობინეს, რომ სიებში მოხვედრილ ადამიანებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დაურეკავდნენ და გადაამოწმებდნენ, ნამდვილად იყვნენ თუ არა ისინი ამ პარტიის მხარდამჭერები.

1.2. მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის შეგროვება

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოხელეების მიერ გაურკვეველი მიზნით მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაციის შეგროვების რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა. პერსონალურ ინფორმაციაში იგულისხმება პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, ტელეფონის ნომრები, სოციალური, სამსახურებრივი თუ ოჯახური მდგომარეობა. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჯარო მოხელეთა მიერ შეგროვებული ინფორმაციის დიაპაზონი ბევრად ფართო იყო, რაც მისი საარჩევნო მიზნით გამოყენების შესახებ საფუძვლიან ეჭვს ბადებდა.

საქართველოს კანონმდებლობით პერსონალურ მონაცემთა შეგროვება პირის ნებართვის გარეშე დაუშვებელია, თუ არ არსებობს საზოგადოების უსაფრთხოების, სახელმწიფო თავდაცვის, სასამართლოს ან სხვა მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობა. გარდა ამისა, ასეთი ქმედება ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმადაც:

„პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება, –

ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.“

ამ მხრივ საყურადღებო შემთხვევა მოხდა ლანჩხუთში, სადაც, კოალიციის „არჩევნის თავისუფლებისათვის“ წევრთა განცხადებით, მათ მოიპოვეს ლანჩხუთის პოლიციის თანამშრომლის, **შმაგი ურატაძის**, კუთვნილი კომპიუტერული მეხსიერების ჩიპი, რომლიდანაც ირკვევა, რომ პოლიცია აგროვებდა ინფორმაციას ადამიანების პერსონალური მონაცემების (პირადი ნომრები, ტელეფონის ნომრები) თაობაზე[75]. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ პოლიციის მიერ შეგროვებულ ინფორმაციაში ცალკეა გამოყოფილი იმ ადამიანთა შესახებ მონაცემები, რომელთაც აქვთ სატელიტური თეფშები, ოპოზიციის

[75] http://cffcgeo.blogspot.com/2012/07/blog-post_30.html

ადგილობრივი ლიდერი, რომელიც „ხელმძღვანელობს ანტენების შემოტანას“, აგრეთვე ბიძინა ივანიშვილის „კომპანიაში დასაქმებული პირების“ ვინაობა.

შეგროვებული ინფორმაციის ხასიათიდან (პოლიტიკური შეხედულება, სატელიტური ანტენების მფლობელები, სამსახურებრივი ინფორმაცია და სხვა) და მასშტაბიდან (სოფლის ყველა მცხოვრები) გამომდინარე, შეუძლებელი იყო მის შეგროვებას ლეგიტიმური, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზანი ჰქონოდა. ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ პოლიციელის ქმედებას პოლიტიკური მოტივი განაპირობებდა, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის[76] დარღვევაა, ასევე ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა) და 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).

იგივე ნორმები დაირღვა მესტიაში მომხდარი ფაქტის შემთხვევაშიც, როდესაც 2012 წლის აპრილში სოფელ იფარის ამბულატორიის ხელმძღვანელი სოფლის მოსახლეობისგან პირად ნომრებს აგროვებდა და აცხადებდა, რომ იგი მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილის სახელით მოქმედებდა.

გარდა იმისა, რომ აღნიშნული ფაქტები შემაშფოთებელია კანონსაწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარე, ასევე საყურადღებოა მათი უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოსახლეობაზე წინასაარჩევნო პერიოდში. ასეთი ქმედებები საარჩევნო პროცესების მიმართ სამართლიან უნდობლობას აჩენს, რაც, თავის მხრივ, ჯანსაღი საარჩევნო გარემოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა.

1.3. საჯარო მოხელეების მობილიზება

სხვა დავალებების მიცემასთან ერთად, საჯარო მოხელეებს ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის მაღალი თანამდებობის პირების მიერ გამართულ საჯარო შეხვედრებში მონაწილეობის მიღებასაც სთხოვდნენ. 2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის მაისის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამის „100 ახალი საავადმყოფო“ ფარგლებში 40-მდე ახალი საავადმყოფო პირადად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. ყოველი ახალი საავადმყოფოს გახსნის შემდეგ იგი მოსახლეობას ხვდებოდა. შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფოს სახსრებით საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანების აქტიური მობილიზება ხდებოდა; კერძოდ:

2012 წლის 27 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყვარელში საავადმყოფო დაათვალიერა[77]. მასთან შესახვედრად ათასზე მეტი ადამიანი სამარშრუტო ტაქსებით ყვარლის რაიონის სხვადასხვა სოფლიდან ჩაიყვანეს. მოქალაქეებმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურეს, რომ საჯარო მოსამსახურეები იყვნენ და მათი მგზავრობის ხარჯები გამგეობის ტერიტორიულმა ორგანომ გაიღო.

ასევე მასშტაბური იყო 2012 წლის 5 მარტს ახმეტაში საქართველოს პრეზიდენტის ხალხთან შეხვედრა, რომელიც აგრეთვე ახალი საავადმყოფოს გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა[78]. მისი ვიზიტის გამო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში ბოლო გაკვეთილები მოიხსნა, ქალაქის სკოლებში კი 12:00 საათის შემდეგ სასწავლო პროცესი ჩაიშალა. მახლობელი სოფლებიდან სკოლის მოსწავლეები მანქანების საბარგულებითაც გადაჰყავდათ[79]. მობილიზებული იყო მუნიციპალიტეტის მთელი ადმინისტრაციული რესურსი, რათა ახალგახსნილი სამედიცინო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა შეეკრიბათ.

2012 წლის 22 მაისს ფოთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის და მერიის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოხდა ანაკლიაში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაზე დასასწრებად წამსვლელ მოქალაქეთა მობილიზება[80]. აქაც სრულად იყო ამოქმედებული მერიის ადმინისტრაციული რესურსები. წამსვლელები ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები იყვნენ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, პრეზიდენტის მიერ საავადმყოფოების გახსნაზე მოსახლეობის შეკრების ორგანიზებას საკმაოდ დიდი მატერიალური თუ არამატერიალური ადმინისტრაციული რესურსი ხმარდებოდა. სამუშაო საათებში გამართულ შეხვედრებზე საჯარო მოხელეთა, საგანმანათლებლო თუ სხვა ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა და სკოლის მოსწავლეთა მასობრივი მობილიზება ხდებოდა. იმ

[76] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს კანონები „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
[77] http://ick.ge/ka/rubrics/politics/9960-----video.html
[78] http://ick.ge/ka/photogalleries/10034--photo-video.html
[79] http://ick.ge/ka/photogalleries/10036-2012-03-05-17-37-49.html
[80] http://tspress.ge/ka/site/articles/11956/

ორგანიზაციებს, რომელთაგანაც კომპლექტდებოდა აღნიშნული შეხვედრების აუდიტორია, ერთი რამ აერთიანებს – ისინი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და, ამდენად, სახელისუფლებო სისტემის ნაწილს შეადგენენ. ეს ბადებს ლოგიკურ ეჭვს, რომ ამ ადამიანებს შეხვედრებზე წასვლას აიძულებდნენ, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახეა.

გარდა ამისა, აღნიშნული შეხვედრები რიგით მოქალაქეებს არაადეკვატურ ასოციაციებს უჩენდა. მაგალითად, როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებები კერძო ინვესტიციებით აშენდა და სადაზღვევო თუ ფარმაცევტული კომპანიების საკუთრებაა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, 250 გამოკითხული ადამიანიდან 82.6%-ს მიაჩნდა, რომ საავადმყოფოები სახელმწიფოს აშენებულია[81].

1.4. პოლიტიზებული დიპლომატიური სამსახური

უკანონო პარტიული დავალებების გაცემა საჯარო სამსახურის ისეთ სპეციალიზებულ სტრუქტურებშიც კი ხდებოდა, როგორიცაა დიპლომატიური სამსახური. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩო ქვეყნით დაინტერესებულ პირებს, მათ შორის, გავლენიან ამერიკელ ექსპერტებსა და მკვლევრებს, უგზავნიდა პოლიტიკური შინაარსის „იმეილებს“, რომლებითაც ბიძინა ივანიშვილისა და პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას ცდილობდა.

პოლიტიკური შინაარსის გზავნილების შესახებ ორმა ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა გვაცნობა. ერთ-ერთმა მათგანმა აშშ-ში საქართველოს საელჩოს მეორე მდივნის, ხათუნა ოყროშიძის[82], მიერ გაგზავნილი ელექტრონული წერილები მოგვაწოდა. პირველი წერილით[83] ოყროშიძემ გააგზავნა თარგმანი გაზეთ „ასავალ-დასავალის“ სტატიისა, რომელშიც საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი, ჯონ ბასი, უარყოფითად იყო მოხსენიებული. საელჩოს თანამშრომელი ასევე წერდა, რომ „ასავალ-დასავალი“ ბიძინა ივანიშვილის საყვარელი გამოცემაა და რომ ეს გაზეთი ქსენოფობიური შინაარსის სტატიებით გამოირჩევა. მეორე წერილით[84] ოყროშიძემ ამერიკელ ექსპერტს გაუგზავნა სხვადასხვა ქართული გაზეთიდან ამონარიდები, რომლებშიც პოლიტიკური პარტიის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენელთა პოზიციები იყო გამოხატული. საელჩოს თანამშრომელი იქვე აღნიშნავდა, რომ ეს პოლიტიკური პარტია კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი გახდა და რომ იგი ანტიდასავლური და საქართველოს ნატოში გაწევრების საწინააღმდეგო პოზიციით გამოირჩევა, ასევე სურს ქვეყანაში შექმნას ბელორუსის მსგავსი ჩაკეტილი ეკონომიკა, რომლის მთავარი პარტნიორიც რუსეთი იქნება. კიდევ ერთმა ამერიკელმა მკვლევარმა მოგვწერა, რომ ასეთ ელექტრონულ წერილებს საქართველოს საელჩოსგან ისიც ხშირად იღებდა.

აშკარაა, რომ ამგვარი ქმედება მმართველი პარტიის სასარგებლოდ სახელმწიფო რესურსების გამოყენებაა. დიპლომატიური სამსახურის ერთი პარტიის ლობისტური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია. ასეთი ნაბიჯები კარდინალურად ეწინააღმდეგება დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკას, ასევე უხეშად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, „დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან პირი წყვეტს ნებისმიერ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობის პერიოდში დიპლომატიური თანამდებობის პირი პოლიტიკურად ნეიტრალურია და არა აქვს უფლება, ეწეოდეს საქმიანობას/პროპაგანდას ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, გაერთიანების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ“. გარდა ამისა, დიპლომატიური სამსახურის ასეთი საქმიანობა ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში დიდ სკანდალს გამოიწვევდა და საეჭვოს გახდიდა მის რეპუტაციას.

ამ ფაქტზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „ელექტრონული წერილები არ შეიცავდა პოლიტიკურად ანგაჟირებულ შეფასებებს[85]. მათში აქცენტი გადატანილი იყო იმ ფაქტებზე, რომლებიც ასახავს საქართველოსთვის მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ქართული პოლიტიკური პარტიების პოზიციებს“.[86] საგარეო უწყება ასევე აცხადებდა, რომ „გაგზავნილი მასალა მიზნად ისახავდა ექსპერტებისა და მკვლევარებისთვის ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებას“ და „არც ერთ დასახელებულ

[81] http://transparency.ge/post/press-release/hospitaluri-seqtoris-kvleva
[82] http://usa.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=138
[83] http://goo.gl/MdVyF
[84] http://goo.gl/0XwoY
[85] http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=59&info_id=15425
[86] http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=59&info_id=15425

შემთხვევაში, ქართველ დიპლომატებს უცხოელი კოლეგებისთვის თავიანთი პოლიტიკური შეფასებები არ მიუწოდებიათ“.

რთულია ოყროშიძის წერილები „ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდებად“ მიიჩნიო. იგი წერილში ერთ-ერთ ქართულ გაზეთს მოიხსენიებს, როგორც „ქსენოფობიური შინაარსის სტატიებით გამორჩეულს“ და „ივანიშვილის საყვარელ გამოცემას“, საიდანაც საელჩოს თანამშრომლის სუბიექტური აზრი და შეფასებები ჩანს. მსგავსი მსჯელობაა მეორე წერილშიც.

2. არჩევნებში ხმის მიცემის ფარულობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები

არჩევნების ფარულობის პრინციპი საარჩევნო უფლების რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. იგი გამყარებული და უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი ტარდება ფარული კენჭისყრით; აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე[87]. აღნიშნული რეგულაციები ემსახურება ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დაცვას, რაც მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესების მიმართ ამომრჩეველთა ნდობას.

მიუხედავად ამისა, ძირითადად საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები ყოველი არჩევნების წინ ავრცელებენ მცდარ მოსაზრებებს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით. ინფორმაციის წყაროების გაანალიზებით ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ კამპანიას მიზანმიმართული ხასიათი აქვს და გარკვეული პოლიტიკური ინტერესების მქონე ჯგუფების მიერაა ინსპირირებული. განსაკუთრებით გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს კენჭისყრის კაბინებში სათვალთვალო კამერებია, ასევე თითქოს ადამიანებს ავალდებულებენ, ბიულეტენში ნომერი განსხვავებული ფორმით ან განსხვავებული ფერის კალმისტრით შემოხაზონ, რათა მათ მიერ დაფიქსირებული არჩევნის იდენტიფიცირება მოხდეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ საკუთარი წყაროებიდან არაერთხელ მიიღო ინფორმაცია აღნიშნული ფაქტების შესახებ; ამაზე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიც წერენ: „...გამგეობაში იბარებენ ხალხს. საჯარო მოხელეებს ეუბნებიან, თითოეული მოქალაქის ბიულეტენი დაფიქსირდებაო; ეუბნებიან, რომ კაბინებს ფარული კამერები გადაიღებს; აფრთხილებენ, როდესაც შეხვალთ საარჩევნო კაბინაში და შემოხაზავთ ბიულეტენს, გადაუღებთ ფოტოს „ხუთიანს“; ასევე ეუბნებიან, სხვადასხვა ფერის კალმებს დაგირიგებთ და იმ ფერის კალმით შემოხაზეთ ბიულეტენიო“, – აცხადებს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ჯაფარიძე[88]. იმავეს ამტკიცებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი კოორდინატორი, რუსუდან წიკლაურიც[89].

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წყაროები ატყობინებენ, რომ მმართველი გუნდის აქტივისტები მოითხოვენ, ფოტო გადაუღონ მათ მიერ შემოხაზულ ბიულეტენს, თან ამისთვის ერთი, კონკრეტული აპარატი გამოიყენონ, რათა გადაღებული ფოტოს ერთმანეთისთვის გადაცემა არ მოხდეს. ამით ირღვევა არა მხოლოდ ხმის მიცემის ფარულობის კონსტიტუციური პრინციპი, არამედ ასევე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 58-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნა: „კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო- და ვიდეოგადაღება აკრძალულია“. ეს, ერთი მხრივ, ასეთი ქმედების განმახორციელებლისათვის არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა) ჩადენის ცდა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პირისათვის, რომელიც ამომრჩევლისაგან ფოტოს გადაღებას მოითხოვს, – როგორც 164-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ცდა, ისე დანაშაულის პროვოკაცია (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი).

ამომრჩეველზე ამგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს. სასურველია აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რათა რიგით ამომრჩეველს შეექმნას მყარი რწმენა, რომ კენჭისყრის ფარულობის პრინციპი დაცული იქნება.

[87] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. მე-3 მუხლის „დ.ა“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტები.
[88] http://goo.gl/a8Yay
[89] http://www.youtube.com/watch?v=H82oXBs405E

3. სოციალური რეკლამები მმართველი პარტიის სამსახურში

საანგარიშო პერიოდში მმართველი გუნდი საკუთარი საარჩევნო და პოლიტიკური მიზნებისთვის აქტიურად იყენებდა ისეთ ადმინისტრაციული რესურსს, როგორიცაა სოციალური რეკლამა.

სოციალური რეკლამის საკითხი საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება. ასეთი რეკლამის უსასყიდლოდ განთავსება მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ყველა მედიასაშუალების ვალდებულებაა[90]. თუმცა კანონმდებლობა ასევე მკაცრად არეგულირებს იმ საკითხს, თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სოციალურ რეკლამად. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სოციალური რეკლამა არის „საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამა, რომელიც არ არის არც კომერციული და არც წინასაარჩევნო რეკლამა და არ შეიცავს კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას“.

საანგარიშო პერიოდში „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გასული სოციალური რეკლამის ანალიზმა აჩვენა, რომ ამ სტატუსით გაშვებული ბევრი ვიდეორგოლი არ აკმაყოფილებდა სოციალური რეკლამის კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ბევრი მათგანი შინაარსობრივად იყო პოლიტიკური რეკლამა, რომელიც მმართველი პარტიის სასარგებლო აგიტაციას ემსახურებოდა. ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენებასთან და სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ უკანონო შემოწირულების განხორციელებასთან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეისწავლა 2012 წლის განმავლობაში სახელმწიფო ორგანოების დაკვეთით „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ სოციალური რეკლამის სტატუსით გასული ვიდეორგოლების გარკვეული რაოდენობა, რომელთაგან ბევრი აშკარად სცდებოდა „სოციალური რეკლამის“ განმარტების ფარგლებს; კერძოდ:

- პენსიების გაზრდასთან დაკავშირებული რეკლამა[91] ძალიან ჰგავდა წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამას. მისი მთავარი მოქმედი პირი იყო საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც იძლეოდა დაპირებას, რომ პენსიებს 2012 წლის სექტემბრისთვის გაზრდიდა. აღნიშნული თარიღი კი საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდს ემთხვეოდა.
- განათლების რეფორმასთან დაკავშირებული რეკლამა[92] ასევე სცდებოდა სოციალური რეკლამის ფარგლებს, რადგანაც ვიდეორგოლი საქართველოს მთავრობის წარსულ მიღწევებზე და მის მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოგვითხრობდა. ასეთი რეკლამა კი საქართველოს კანონმდებლობით სოციალურ რეკლამად არ არის მიჩნეული. უფრო მეტიც, იგი შინაარსით აშკარად ჰგავდა პოლიტიკურ რეკლამას, რომელიც წინასაარჩევნოდ გამოიყენება.
- „ვარდების რევოლუცია – 8 წელი“[93] – რეკლამის პოლიტიკური სახე კიდევ უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა ვიდეორგოლში, რომელშიც, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელის სიტყვებზე დაყრდნობით, საქართველოს მოქმედი ხელისუფლების „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მიღწევებსა და რეფორმებზე იყო საუბარი. კადრებში საქართველოს პრეზიდენტი და ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირები ჩანდნენ.

სოციალური რეკლამის სტატუსით გასული პოლიტიკური რეკლამების სრული ჩამონათვალი მოცემულია **ცხრილში 9**.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ორჯერ გაამახვილა ყურადღება პოლიტიზებულ სოციალურ რეკლამებზე. პირველ შემთხვევაში[94] შესაბამის ორგანოებს ამ უკანონო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად არანაირი ქმედება არ განუხორციელებიათ, მეორე შემთხვევაში[95] კი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას და საზოგადოებრივ მაუწყებელს, წინასაარჩევნო პერიოდში შეეჩერებინათ სოციალური რეკლამის სტატუსით ეთერში იმ ვიდეორგოლების განთავსება, რომლებიც მთავრობის მიერ

[90] საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ (23.12.2004. №780-რს; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 18.01.2005, მუხ. 19). 65-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[91] http://www.youtube.com/watch?v=5iWw8bpHdyg
[92] http://www.youtube.com/watch?v=ltN2OrS9J9s
[93] http://www.youtube.com/watch?v=Zm5za_c2Dbk
[94] http://goo.gl/gbD1j
[95] http://transparency.ge/blog/sotsialuri-reklamebi-mmartveli-partiis-samsakhurshi

განხორციელებულ პროექტებს ასახავდა და შეიძლებოდა საარჩევნო რეკლამად აღქმულიყო.[96] თუმცა ეს რეაგირება დაგვიანებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ასეთი რეკლამები მრავალი თვის განმავლობაში ინტენსიურად გადიოდა ქართულ ტელეარხებზე, რამაც დიდი სარგებელი მოუტანა მმართველ პარტიას. ამ შემთხვევაშიც აშკარა იყო ადმინისტრაციული რესურსების მის სასარგებლოდ გამოყენება.

[96] http://www.nsc.gov.ge/geo/news.php?id=6197

IV. ამომრჩევლის მოსყიდვა

სახელმწიფოს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გარდა, წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საკითხს, როგორიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა. ამომრჩევლის მოსყიდვა არის სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის დეფინიცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1] მუხლში, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25[2] მუხლსა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 47-ე მუხლშია მოცემული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით:

„საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.“[97]

ამგვარმა დარღვევებმა შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე. ამდენად, ამ საკითხს სახელმწიფოს მარეგულირებელი ორგანოები და პოლიტიკური პარტიები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, რომლებშიც ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები იკვეთებოდა.

1. ცხვარი და ღვინო რუსთაველ ამომრჩეველს

2012 წლის აპრილში რუსთავის საკრებულოს წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, **თამაზ გველუკაშვილმა**, სააღდგომოდ ქალაქის რამდენიმე უბანში საჩუქრად ცხვარი და ღვინო გააგზავნა. ამ ფაქტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოკითხული რუსთავის მცხოვრებლებიც ადასტურებდნენ[98]. ისინი აღნიშნავდნენ, რომ აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე სხვადასხვა უბანში შეგროვდა ინფორმაცია კორპუსების მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, ხოლო აღდგომის დღეს იმავე უბნებში მანქანებით საჩუქრები – ცხვარი და 20 ლიტრი ღვინო – მიიტანეს. ზოგიერთ უბანში საჩუქრები რუსთავის გამგეობის და ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლებმაც კი დაარიგეს, თუმცა ყველგან პირდაპირ ითქვა, რომ ნობათი თამაზ გველუკაშვილის გაგზავნილი იყო. „კი, ჩვენს უბანშიც მოიტანეს ცხვარი და ღვინო; გველუკაშვილი თავად არ მოსულა, მაგრამ, ვინც მოიტანა, თვითონ თქვეს, გველუკაშვილის გამოგზავნილიაო“, – აცხადებდნენ ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე დასახლების მცხოვრებნი. „ეს საარჩევნო საჩუქარია. წინა არჩევნებზეც მოუტანიათ ცხვარი და ღვინო და ახლაც იყო სააღდგომოდ გველუკაშვილისაგან. გამგეობის თანამშრომლებმა მოიტანეს, მაგრამ თქვეს, რომ გველუკაშვილმა გამოგზავნაო“, – დაადასტურეს ლომოურის ქუჩის მცხოვრებლებმა.

აღნიშნულ ფაქტზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ადმინისტრაციული წარმოება ჩაატარა, რის შედეგადაც დაადგინა, რომ აღნიშნული მატერიალური სიკეთეები დაარიგა არა გველუკაშვილმა, არამედ საკუთარი სახსრებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ – კახა ბარათაშვილმა, რომელიც ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია[99]. აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა პარტიის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულების განხორციელებისთვის ბარათაშვილი სამართალდამრღვევად ცნო. თუმცა კახა ბარათაშვილი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელსაც თავისთავად აქვს საარჩევნო და პოლიტიკური მიზნები. ამდენად, აღნიშნული ფაქტი ამომრჩევლის მოსყიდვად უნდა მიჩნეულიყო. ამ შემთხვევაში ცხადად იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაული, რადგანაც საქმე გვქონდა არა მხოლოდ დაპირებასთან, არამედ განხორციელებულ ქმედებასთან – საჩუქრების გადაცემასთან. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ქმედების ჩამდენი პოლიტიკური გაერთიანების არა რიგითი აქტივისტი, არამედ მაღალი თანამდებობის პირი იყო, კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ ამ ქმედების საარჩევნო მოტივებს.

---

[97] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 164[1] მუხლი.
[98] http://transparency.ge/blog/ცხვარი-და-20-ლიტრი-ღვინო-რუსთაველ-ამომრჩევლებს
[99] http://sao.ge/?action=news&npid=232&lang=geo

2. სადღესასწაულო სუფრა თეთრიწყაროელ ამომრჩეველს

2012 წლის 4 ივნისს საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-მ გამოაქვეყნა ვიდეორეპორტაჟი[100], რომელიც თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, დავით ბეჟუაშვილის, მიერ მოსახლეობის სადღესასწაულო სუფრით გამასპინძლების შესახებ მოგვითხრობს. ასეთი ქმედება შეიძლებოდა ამომრჩევლის მოსყიდვად აღქმულიყო. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ყვებოდა, ასურეთობის დღესასწაულის წინა დღეს „მოპატიჟეებმა“ ჩამოიარეს და უთხრეს, რომ დავით ბეჟუაშვილი ეპატიჟებოდათ სუფრაზე. სიუჟეტში სადღესასწაულო სუფრის სამზადისი და თავად მაჟორიტარი დეპუტატიც ჩანდა. გარდა ამისა, საინფორმაციო სააგენტო წერდა, რომ, მოსახლეობის ცნობით, დავით ბეჟუაშვილი „მსგავს სუფრებს სხვა სოფლებშიც ინტენსიურად შლიდა“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას ამ საკითხზე გამოძიების დაწყების მოწოდებით მიმართა[101]. 17 ივლისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა: „რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიერ დღესასწაულის ორგანიზებისა და მატერიალური მხარდაჭერის ფაქტი ვერ დადასტურდა. მოპოვებული ინფორმაცია არ იძლევა გონივრული რწმუნების საფუძველს, რომ ადგილი ჰქონდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების დარღვევას“[102].

3. წინასაარჩევნო სუფრა კახელ ამომრჩეველს

„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით[103], 2012 წლის 31 ივლისს პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ გურჯაანში ერთ-ერთ საარჩევნო ღონისძიებაზე ამომრჩეველს სუფრით გაუმასპინძლდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აზრით, ასეთი ქმედება შეიძლებოდა ამომრჩევლის მოსყიდვად აღქმულიყო. „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ მასალების თანახმად, პარტიის ლიდერები უარყოფდნენ ღონისძიების დაფინანსებას და აცხადებდნენ, რომ სუფრა (ღვინო, ხორცი, კიტრი, პომიდორი, პური) ამომრჩევლების თანხით გაიშალა და პარტიამ მხოლოდ ორგანიზება გაუწია, თუმცა იქ მყოფი ბევრი ადამიანი ამბობდა, რომ თავად არაფერი გადაუხდია და პარტიამ დაპატიჟა. ვიდეომასალიდან ჩანდა, რომ ამ ღონისძიებას დამსწრეები „ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ გამასპინძლებად აღიქვამდნენ. აღნიშნული ქმედებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც დაინტერესდა.

ამომჩევლის მოსყიდვის სხვა სავარაუდო ფაქტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია **ცხრილში 10**. მასში ჩამოთვლილ ფაქტებთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოებს არანაირი ზომები არ მიუღიათ.

[100] http://www.info9.ge/?l=G&m=1000&id=99
[101] http://goo.gl/8iKHL
[102] http://sao.ge/?action=news&npid=254&lang=geo
[103] http://ick.ge/ka/articles/11778-2012-07-31-19-49-23.html